

ვარდების რევოლუციის ჯოკერი A4



აღმოაჩინე შენი ქვეყანა A8



მარლონ ბრანდო, როგორც მწერალი A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 6 აგვისტო, 2005 წელი. №178 (1038) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### სატყეო მეურნეობებში "წმენდა" გრძელდება

მინისტრის განცხადებით, თანამდებობიდან გათავისუფლებულნი არიან: თიანეთის სატყეო მეურნეობის დირექტორი ნოდარ აბრამიშვილი, მთავარი მეტყევე თამაზ ობგაიძე, ჟებოტის სატყეოს უფროსი ოთარ ხელაძე, ღულელების სატყეოს უფროსი ელგუჯა წიკლაური, ზარიძეების სატყეოს უფროსი დავით შავერდაშვილი, ახალსოფლის სატყეოს უფროსი ვაჟა მოსახლიშვილი.

A2

## ამბები

### იმერეთში პოლიციის უფროსების ბედს რწმუნებულები წყვეტენ

იმერეთში მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა მონაცვლეობის პარალელურად, პერმანენტულად იცვლებიან რეგიონის პოლიციის უფროსებიც.

A3

## ამბები

### დამნაშავეები „გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში"

დაკავებულებს ბრალად ედებათ მოსახლეობიდან აკრეფილი ელექტროენერგიის საფასურისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხების მითვისება, რომელიც საერთო ჯამში 20 ათას ლარს შეადგენს.

A3

## სპორტი

### მებრძოლი მამალი როი ჯონს-უმცროსი

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა აღნიშნა, რომ ტარვერის მიერ მისი დამარცხება შემთხვევით დარტყმას მოჰყვა, ხოლო შემდგომ ორთაბრძოლაში გლენკოფ ჯონსონთან წაგება კი არასრულყოფილი მომზადების შედეგი იყო.

A5

## ამინდი

| | 6/08 | 7 /08 |
|---|---|---|
| თბილისი | 41 | 42 |
| ქუთაისი | 40 | 41 |
| სოხუმი | 37 | 40 |
| დმანისი | 32 | 34 |
| გორი | 36 | 37 |
| ონი | 32 | 32 |
| ზუგდიდი | 42 | 45 |
| ახმეტა | 40 | 40 |
| გაგრა | 33 | 35 |
| სამტრედია | 42 | 43 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.2320 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2059 |
| რუბლი | 0.0634 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| უცხოეთი | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| კვირის TV პროგრამა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# „ოპოზიციური ბორკილები" ხელისუფლებისთვის




პრაიმერის ხელმოწერით ოპოზიციის რიგებში ოპტიმისტური განწყობა გამეფდა.

ინტერპრესნიუსი

*ოპოზიციურ პარტიებს შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად, 1 ოქტომბერს საქართველოს ხუთ საარჩევნო ოლქში შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე "მემარჯვენეების", "ლეიბორისტების", "კონსერვატორებისა" და "თავისუფლების" საერთო კანდიდატები უნდა წარდგნენ. თუმცა, შეთანხმების თანახმად, პარტიები ცესკო-ში თავიანთ კანდიდატებს მაინც ცალ-ცალკე დაარეგისტრირებენ, რომლებმაც შემდგომში საკუთარი კანდიდატურები პრაიმერში გამარჯვებულთა სასარგებლოდ უნდა მოხსნან.*

სოფო ბუკია

ოთხმა ოპოზიციურმა ძალამ "ბორკილების გამოჭედვა" გადაწყვიტა, რომლებსაც ისინი "სააკაშვილის ხელისუფლებას დაადებენ", რითიც "ქართველი ხალხის ოცნებას აასრულებენ". ეს მუქარა ხელისუფლების მიმართ გუშინ ოპოზიციონერი შალვა ნათელაშვილისაგან სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაისმა, სადაც საზეიმოდ მოეწერა ხელი ოპოზიციური პარტიების

გაგრძელება A3 გვერდზე

# შუალედური არჩევნები "რესპუბლიკელების" გარეშე

გიორგი ასანიშვილი

"რესპუბლიკური პარტია" 1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას აღარ (ვეღარ) მიიღებს. პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ამაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და აჭარის უმაღლეს საბჭოს ადანაშაულებს.

**"აჭარის უმაღლესმა საბჭომ კონსტიტუცია დაარღვია და თავის უფლებამოსილებას გადაამეტა, როდესაც 4 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილებით, გიორგი მასალკინს შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვა. არადა, არსებული მექანიზმი წლების განმავლობაში მოქმედებდა და მისი შეცვლა დღემდე არავის გახსენებია,"** - განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე დავით უსუფაშვილმა. "რესპუბლიკელების" ლიდერი საზოგადოებას იმასაც შეახსენებს, რომ სულ ცოტა ხნის წინათ "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ჯერ პარლამენტში მოხვდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვეს თანამდებობები თბილისის საკრებულოში.

დავით უსუფაშვილისთვის ასევე მიუღებელია ცესკო-ს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ერთი წლის წინათ "რესპუბლიკური პარტიის" მიერ გავლილი საარჩევნო რეგისტრაცია დღეს უკვე ძალაში

გაგრძელება A3 გვერდზე

# ევროპის „თამამი და გულუხვი" წინადადება ირანის ბირთვული პროგრამის სანაცვლოდ



ირანი ისპაჰანის მახლობლად მდებარე ბირთვულ ქარხანაში სამუშაოების განახლებას აპირებს.




ბირთვული პროგრამის განახლება უკვე ორი წლის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებს აზრს დაუკარგავს.

*ევროკავშირმა პარასკევს თეირანს ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული კრიზისის მოგვარების შესახებ წინადადებათა ახალი პაკეტი წარუდგინა. დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება. თუმცა, როგორც სააგენტო "როიტერსი" ირანულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, "ევროპულმა სამეულმა" (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) ისლამურ რესპუბლიკას მის ტერიტორიაზე ცენტრალური აზიიდან ევროპაში ნავთობის და გაზის ძირითადი სატრანზიტო გზის გაყვანა შესთავაზა. ამის სანაცვლოდ, ევროპის კავშირი თეირანისგან ბირთვული პროგრამის გაყინვას მოითხოვს.*

ნიკა თარაშვილი

ევროპელმა სამეულმა გუშინ ირანს წინადადებათა პაკეტი გადასცა, რომელიც, მათი აზრით, ისლამური რესპუბლიკის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით არსებული წინააღმდეგობის დაძლევას შეუწყობს ხელს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ფილიპ დუსტ-ბლეიზის თქმით, ევროკავშირის სახელით სამეულმა "თამამი და გულუხვი" წინადადება შესთავაზა ირანს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# აფხაზეთში ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა დაიწყო

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

შსს-ს ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის სამმართველო არნახულად ეფექტური მუშაობის დემონსტრირებას ახდენს. 2005 წლის პირველ ნახევარში სამმართველომ სახელმწიფო ბიუჯეტში 100 ათასი დოლარის დაბრუნება შეძლო. ეს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა გაავრცელა. აღსანიშნავია, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდში მხოლოდ 6,5 ათასი დოლარი იქნა ამოღებული. ამასთან, სამმართველოს თანამშრომლები აცხადებენ, რომ თანამედროვე ტექნიკური ბაზის არარსებობის გამო, გამოძიებების უფრო ეფექტურად ჩატარება შეუძლებელია.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამ სტრუქტურის წინაშე დასახულია ამოცანა, რომ თავის საქმიანობაში მაქსიმალურ შედეგებს მიაღწიოს. უკანასკნელ ხანს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველო პრესის ყურადღების ქვეშ არის მოქცეული. ყველაზე წარმატებული ბოლო გამოძიება აფხაზეთის დედაქალაქში სკოლის რემონტისთვის გათვალისწინებული სახსრების დატაცებას უკავშირდება. გამოძიებულია, აგრეთვე, ეკონომიკური სახის დანაშაული ჯანდაცვის სფეროში.

მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი საქმე ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის მიყვანილი, ჯანდაცვის დაწესებულებების რემონტისა და აღდგენისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრების დატაცების ფაქტი უკვე დადასტურებულია.

# ბაგაფში საქართველოსთან შესაძლო კომპრომისზე საუბრობს

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში ყველაზე მისაღებ კომპრომისად გალში დევნილების დაბრუნებას მიიჩნევს და ამასაც იმის სანაცვლოდ, თუკი საქართველო აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. ამის შესახებ ბაგაფშმა რუსული სააგენტო "რეგნუმისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა.

"საკუთარ პოზიციას ბოლომდე დავიცავ. აფხაზეთის მოსახლეობის პოზიცია მკაფიოა - დამოუკიდებლობის აღიარება," - აცხადებს იგი.

სერგეი ბაგაფში მიხეილ სააკაშვილის პერსონალურ დახასიათებას თავს არიდებს, თუმცა მიაჩნია, რომ ადამიანი, რომელიც ევროპულ და ამერიკულ დემოკრატიას იზიარებს, დემოკრატი უნდა იყოს თავის ქვეყანაშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

"სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტად თავისმა მოსახლეობამ აირჩია. ეს მათი არჩევანია," - დასძინა მან.

იგი, აგრეთვე, საუბრობს საქართველოს სამხედრო ბიუჯეტზე და აცხადებს: "ვის წინააღმდეგ ფინანსდება საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი 300 მილიონი დოლარით? ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათი შეიარაღება თურქეთის, სომხეთის ან რუსეთის წინააღმდეგ იყოს მიმართული. ამ რეალობაში, ჩვენი შიში აბსოლუტურად ლოგიკურია."

სერგეი ბაგაფშს მიაჩნია, რომ ყველაფერი არც მხოლოდ საქართველოზეა დამოკიდებული და არც აფხაზეთზე, ვინაიდან დიალოგში ისეთი სერიოზული ორგანიზაციები არის ჩართული, როგორიცაა გაერო და ეუთო.

"ჩვენ მათი აზრის გაუზიარებლობა არ შეგვიძლია," - აცხადებს ბაგაფში, თუმცა მიიჩნევს, რომ ომს მოლაპარაკებები სჯობს.

დე ფაქტო ლიდერის თქმით, ამ მოლაპარაკებებში აფხაზურ მხარეს კონკრეტული მიზანი აქვს - მსოფლიოს დაანახოს, რომ აფხაზეთის მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა და დამოუკიდებლობა მოითხოვა.

ამასთან, ბაგაფში არ გამორიცხავს საქართველოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას და ეკონომიკურ თანამშრომლობას. ამ კუთხით მას სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა წინ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია.

"თუკი ჩვენ ეკონომიკურად ურთიერთმომგებიან საკითხებზე ვერ შევთანხმდებით, პოლიტიკურ შეთანხმებაზე საუბარი ზედმეტია," - აცხადებს ბაგაფში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# თაღლითობა „წყალკანალის" სახელით

თუკი ერთ დღეს სახლში ინკასატორმა მოგაკითხათ და წყლის ტარიფის ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდა მოგთხოვათ, არ ენდოთ. ყალბი ქვითრების მეშვეობით, ვაკე-საბურთალოს მოსახლეობის დიდ ნაწილს თაღლითები ფულს მოტყუებით სძალავენ. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც "თბილწყალკანალის" სახელით საწარმოების ხელმძღვანელებსაც გადაახდევინეს სოლიდური თანხა.

სქემა, რომლის მიხედვითაც თაღლითები მოქმედებენ, ძალიან მარტივად გამოიყურება. რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც ყალბი დოკუმენტაცია და ქვითრები გააჩნიათ, "თბილწყალკანალის" თანამშრომლებად ასაღებენ თავს. ისინი მოქალაქეებს არწმუნებენ, რომ თუკი წყლის გადასახადს დროულად არ გადაიხდიან, შემდეგ მათ პრობლემები შეექმნებათ.

როგორც "თბილწყალკანალის" პრესცენტრის უფროსმა გოჩა ჯელიამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, სავარაუდოდ, თაღლითები ორ-ორნი დადიან და სხვადასხვა საწარმოს სხვადასხვა ოდენობის თანხას სძალავენ. მათ მიერ "თბილწყალკანალის" სახელით დამზადებული პირველი ყალბი ქვითარი "თბილწყალკანალში" ერთ-ერთი საწარმოდან ერთი კვირის წინათ, ბოლო კი გუშინ მიიტანეს.

"თბილწყალკანალი" საწარმოთა ხელმძღვანელებს და მოსახლეობას ურჩევს, რომ მსგავსი შემთხვევის დაფიქსირების დროს, მათ სამართალდამცველ ორგანოებს მიმართონ და უცხო პირებს არ ენდონ.

"თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობის განმარტებით, მათთან გადახდა მხოლოდ საბანკო სისტემით, უნაღდო ანგარიშსწორებით ხდება. აქედან გამომდინარე, "თბილწყალკანალის" სახელით რომელიმე ობიექტზე მისულ პირს აუცილებლად უნდა მოსთხოვოთ "თბილწყალკანალის" ოფიციალური ქვითარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, "თბილწყალკანალმა" შს სამინისტროს კრიმინალურ დეპარტამენტს უკვე მიმართა და მიმდინარეობს მოკვლევა.

მსგავსი ფაქტები რამდენიმე ხნის წინათ „თბილგაზისა" და „თელასის" აბონენტებთან მიმართებაშიც დაფიქსირდა. იყო შემთხვევები, როდესაც უკვე გათავისუფლებული ინკასატორები აბონენტებს თანხას კვლავ ახდევინებდნენ.

*24 საათი*

## სინათლე



7 აგვისტოს ჟანი კალანდაძის დაბადების დღეა, ცრემლისა და ტკივილის კიდევ ერთხელ განახლების დღე.

ამქვეყნად მისი ხანმოკლე ყოფნა სიცოცხლის საგალობელს ჰგავდა. ამიტომაც იყო მისი გარდაცვალების ამბავი თავზარდამცემი, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული და დაუჯერებელი. პირველად ყველას ეგონა, რომ გაუგებრობა მოხდა, ვიღაცას რაღაც შეეშალა. მერე კი სასწაულის ნატვრა - იქნებ არ იყოს სიმართლე. ამის იმედად რჩებოდნენ მისი ახლობლებიც და ისინიც, ვისაც ერთხელ ჰყავდა იგი ნანახი.

სასწაულს მოვუხმობთ უდიდესი განსაცდელის ჟამს. როცა იგი ჩვენს გვერდითაა, თითქოს ვეჩვევით, ვეღარც აღვიქვამთ სათანადოდ, გვგონია, უსასრულოდ გაგრძელდება.

არადა, გადაარჩინო შენი არსებობით ის ღირებულებები, რომლებიც თავის გატანისათვის დაუნდობელმა ბრძოლამ გააფერმკრთალა და თითქოს უსარგებლო გახადა, შეახსენო ადამიანებს, რისთვის ღირს სიცოცხლე - მთლად ჩვეულებრივი ამბავი არაა.

ჟანი ხშირად ლაპარაკობდა სტერეოტიპების მსხვრევაზე, მისი მაძიებელი, ენერგიული ბუნებისათვის მიუღებელი იყო ყოველივე დრომოჭმული, დახავსებული, მდორე... და, რაც მთავარია, სტერეოტიპებს ამსხვრევდა ადამიანურ ურთიერთობებში. ჩვენ ხშირად გაუმართლებლად ვუფრთხილდებით და ვზოგავთ გულის სითბოს, რომელიც ღმერთმა მხოლოდ გასაცემად მოგვმადლა. თითქოს მოაკლდება სითბოს იმ მარაგს რამე, დაიხარჯება და გაქრება. ვუფრთხით, ფამილარობა არ დაგვწამონ, ეჭვი შეგვაქვს გრძნობის სიწრფელეში, ვერიდებით ზედმეტ სიახლოვეს და ვქმნით ხელოვნურ ბარიერებს ჩვენს შორის.

ჟანი თვალის დახამხამებაში, ხელის ერთი დაკვრით აქრობდა ამ ბარიერებს. იგი არ ითხოვდა არავითარ წინაპირობას; ნებისმიერ ადამიანს მოყვასად მიიჩნევდა, რომელსაც, შესაძლოა, მისი დახმარება, ნუგეში, მოფერება დასჭირვებოდა და თვითონაც ყოველ წუთს მზად იყო ამისთვის.

დროის იმ მონაკვეთში, როცა ადამიანები ზერელე ნაცნობობის დამყარებასაც კი ვერ ასწრებენ, ჟანი უკვე "იშინაურებდა" მათ. ამ სიტყვას ეგზიუპერის პატარა უფლისწულს დავესესხე. სხვა ვერაფერი ვიპოვე იმ გრძნობის გამოსახატავად, რასაც ეს პატარა ბიჭი თავისი განუმეორებელი ბავშვური ღიმილით აღძრავდა პირველივე შეხვედრისას. ღიმილი მისი სავიზიტო ბარათი იყო, რომლითაც რწმენას, ნდობას გიღვივებდა, იმედს გიბრუნებდა, გიახლოვებდა. ამ ღიმილში ყველაზე უკეთ ჩანდა მისი პიროვნება - სუფთა, კეთილშობილი, შინაგანად გაცისკროვნებული.

ამიტომაც მიაჩნდათ იგი გურიაში თავისიანად, ახლობლად ომის საშინელებებში გამოვლილ ვეტერანებსაც და სითბოს, სიყვარულს დანატრებულ სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებსაც, დალხინებულსაც და გასაჭირში მყოფსაც.

უამრავ საზრუნავთაგან უპირველესი მისთვის ბავშვებთან ურთიერთობა იყო. მათთან შეხვედრისას მის სულში სათუთად დაცული ბავშვიც თითქოს "დიდობის" ბორკილებისაგან თავისუფლდებოდა. იგი მღეროდა, ცეკვავდა, თამაშობდა მათთან ერთად, გულშემატკივრობდა მათ. გადამდები იყო მისი სილაღე, იუმორი. ამ ულამაზესი წუთების გახსენებას ყოველთვის თან ახლავს ცრემლი.

ახლა, როცა მასთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანი სხვა ფასს იძენს, შვებად აღიქვამ უფლის სიბრძნეს: "უკეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა"...

ჟანის არ სჭირდებოდა მენტორული ტონი თავის უმცროს მეგობრებთან. წიგნიერი, საქართველოს ისტორიაზე უსაზღვროდ შეყვარებული, სხვისი ტკივილის გამზიარებელი, ფანატიკურად პატიოსანი - იგი თავად წარმოადგენდა ცოცხალ მაგალითს მათთვის.

მოზარდები ფასეულობების არჩევის რთულ ასაკში ხშირად მერყეობენ მოჩვენებით, წარმავალსა და ჭეშმარიტ ფასეულობებს შორის. ჟანისთან ახლო ურთიერთობით ისინი აცნობიერებდნენ, რომ ნებისმიერი მაღალი თანამდებობა მხოლოდ საშუალებაა იმისთვის, მეტი კეთილი საქმის კეთება შეძლო, მეტ ადამიანს დაეხმარო. მათ თვალწინ იდეის ერთგულება პათეტიკის სფეროდან ყოველდღიურობაში ინაცვლებდა, მიმზიდველი და გასაგები ხდებოდა.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ სიცოცხლეზე ასე შეყვარებულს თან სდევდა სიკვდილის წინათგრძნობა. თავის ოთახში უცნაური კოლაჟი გაუკეთებია, რომლის მსგავსი არსად მინახავს. ესაა საოცარი დღიური კედელზე; გაკრული ხელით მიმოუბნევია ფრაზები, რომლებსაც ოდესმე გამოძახილი უპოვიათ მის სულში. სხვათა სიტყვების მიღმა გარკვევით ხედავ თავად მას - ფაქიზს, მგრძნობიარეს, მოსიყვარულეს.

შემზარა ამ კედელზე სიკვდილის არაერთგზის ხსენებამ. მოგვიანებით მივხვდი, რომ სიკვდილის შიში აქ არაფერ შუაშია, ეს ბოლომდე ვერდახარჯვის შიში უფროა, პასუხისმგებლობაა სიცოცხლის წინაშე. თითქოს იცოდა, რომ მცირე ვადა ჰქონდა მიცემული (პატარა უფლისწულივით). ამიტომაც ცდილობდა, მოესწრო ყველაფერი, ამიტომ გაიხადა სისწრაფე ცხოვრების წესად.

...ვუყურებდი მასთან გამოსამშვიდობებლად მოსულ ზღვა ხალხს და ვრწმუნდებოდი, რომ მის მიმართ ერთნაირად ძლიერი გრძნობა ჰქონდათ სრულიად განსხვავებული სულიერი წყობისა და მისწრაფების ადამიანებს. აქ წაშლილი იყო ზღვარი პოლიტიკურად დაპირისპირებულებს, პოზიციასა და ოპოზიციას შორის. მათ აკავშირებდა სიყვარული ჟანის მიმართ, სიყვარული, რომელიც მისი გულის შუქით იყო ნასაზრდოები. სიმბოლურია, რომ იგი, ბუნებით მშვიდობისმოყვარე და წყენის გულში არგამჩერებელი, გახდა მიზეზი ამ საოცარი ერთიანობისა, რადგანაც არაფერი ისე არ აახლოებს ადამიანებს, როგორც საერთო ტკივილი.

მან თავისი სიცოცხლითაც და გარდაცვალებითაც დაამტკიცა, რომ დრო ერთობ პირობითი ცნებაა. შეიძლება, საუკუნეს მიაღწიო და კვალის გავლებაც ვერ მოახერხო, შეიძლება, 27 წლის ასაკში გადასახლდე მარადიულ სასუფეველში და სააქაოს დატოვო უზარმაზარი სინათლე, რომელიც ისე გაათბობს გარშემომყოფთ, როგორც შენი აქ ყოფნისას ათბობდა.

*ნათია მენაბდე*

## სატყეო მეურნეობებში "წმენდა" გრძელდება

*გუშინ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა თიანეთში ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტებთან დაკავშირებით, სატყეო დეპარტამენტის ექვსი თანამშრომელი გაათავისუფლა. ხე-ტყის უკანონო ჭრის აღსაკვეთად უახლოეს მომავალში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს რამდენიმე რეგიონში სპეციალური ინსპექტორატი შეიქმნება. პირველი ეტაპისთვის ასეთი ჯგუფი სამცხე-ჯავახეთის მხარეში შეიქმნება, სადაც ხე-ტყის უკანონო ჭრის თვალსაზრისით ურთულესი მდგომარეობაა.*

თამარ დვალი

გუშინ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი პაპუაშვილი და პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში ვასილ მაღლაფერიძე თიანეთის რაიონში სატყეო სექტორში შექმნილ სიტუაციას დეტალურად გაეცნენ. მათ ვიზიტს წინ უსწრებდა თიანეთის სატყეო დეპარტამენტის შემოწმების ფაქტი, რომლის შედეგადაც დარღვევები გამოვლინდა. მთლიანად თიანეთის სატყეო მეურნეობაში ტყისთვის მიყენებულმა ზიანმა 565 ათას 775 ლარი შეადგინა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, გუშინ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა სატყეო დეპარტამენტის ექვსი თანამშრომლის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

მინისტრის განცხადებით, თანამდებობიდან გათავისუფლებული არიან: თიანეთის სატყეო მეურნეობის დირექტორი ნოდარ აბრამიშვილი, მთავარი მეტყევე თამაზ ობგაიძე, ჟებოტის სატყეოს უფროსი ოთარ ხელაძე, ღულელების სატყეოს უფროსი ელგუჯა წიკლაური, ზარიძეების სატყეოს უფროსი დავით შავერდაშვილი, ახალსოფლის სატყეოს უფროსი ვაჟა მოსახლიშვილი.

გათავისუფლებული პირების შესახებ საქმე პროკურატურას გადაეცა, რათა დადგინდეს კონკრეტული პირის ბრალეულობა. პაპუაშვილის განცხადებით, სამინისტროს ხელმძღვანელობა აგრძელებს აღებულ კურსს და საქართველოს მასშტაბით ხე-ტყის უკანონოდ ჭრის შესამცირებლად სპეციალურ ღონისძიებებს ატარებს. გუშინ სატყეო დეპარტამენტს დაევალა, უზრუნველყოს თიანეთის სატყეო მეურნეობის ტერიტორიის დაცვითი ღონისძიებების გამკაცრება და მეურნეობის ვაკანტური თანამდებობების დაკომპლექტება.

როგორც პაპუაშვილმა განაცხადა, ივნისის თვეში უკვე შემოწმდა ამბროლაურის, ონის, ვანის, ბორჯომის, ბაკურიანის, ადიგენისა და საჩხერის სატყეო მეურნეობები. ყველაზე მძიმე მდგომარეობა იყო ბორჯომ-ბაკურიანში, სადაც, განხორციელდა კიდეც საკადრო ცვლილებები.

2005 წლის ივნისის თვიდან დღემდე შვიდი რაიონის სატყეო მეურნეობის შემოწმების შედეგად, ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტმა სახელმწიფოს 1 მილიონ 300 ათას ლარზე მეტი ზიანი მიაყენა.

## პენიტენციური სისტემის რეფორმას მორიგი მრგვალი მაგიდა მიეძღვნა

იუსტიციის სამინისტროში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე - "ციხე - პატიმარი - საზოგადოება", რომელიც ევროკავშირის PRI-ს პროექტის ფარგლებში რუსთავის N6 საპყრობილის რეკონსტრუქციის დასრულებას უკავშირდებოდა. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლმა" მოაწყო და მრგვალ მაგიდაში იუსტიციის სამინისტროს, გაეროს განვითარების პროგრამის, ევროკომისიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ დეტალურად ისაუბრა. მისი თქმით, სისტემაში დღეს რთული ვითარებაა, რომლის გამოსწორებაზე იუსტიციის სამინისტრო, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ზრუნავს. **"ჩვენი მიზანია რეფორმა განხორციელდეს არა ფრაგმენტულად, არამედ - კომპლექსურად. დასასრულს მიუახლოვდა როგორც რუსთავის N6 საპყრობილის რეკონსტრუქცია, ასევე ქუთაისის საპყრობილის მშენებლობა. ამ საპყრობილეეში ახალი მენეჯმენტი დაინერგება და ისინი სამოდელო საპატიმროები გახდება. ქუთაისის საპყრობილის თანამშრომელთა შესარჩევად დანიშნულია კონკურსი. კადრების ამ წესით შერჩევა მოხდება რუსთავის N6 დაწესებულებაშიც. გადაწყვეტილია, რომ ახალი საპყრობილე, შემჭიდროებულ ვადებში, თბილისშიც აშენდეს,"** – განაცხადა კოტე კემულარიამ.

იუსტიციის მინისტრის ინფორმაციითვე, იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის ბიუჯეტი გაორმაგდება. **"ჩვენ ვერ ვისაუბრებთ პატიმართა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებებზე, როდესაც ასეთი მწირია სასჯელაღსრულების სისტემის დაფინანსება. მძიმე მდგომარეობაა სამედიცინო თვალსაზრისითაც. დაგეგმილი გვაქვს თანამშრომელთა ხელფასების გაზრდა 400 ლარამდე, რათა კადრების დენადობა შევაჩეროთ,"** - აცხადებს მინისტრი.

რუსთავის N6 საპყრობილის ამოქმედების მნიშვნელობაზე ისაუბრა გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა სოფია კარრონდომ და ამ პროგრამის ჯგუფის ხელმძღვანელმა საქართველოში ოლავი ისრაელმა.

რუსთავისა და ქუთაისის ახალი, სამოდელო საპყრობილეები, სავარაუდოდ, შემოდგომისთვის ამოქმედდება. რუსთავის საპყრობილე 780 პატიმარზეა გათვლილი, ხოლო ქუთაისის - 1500 პატიმარზე.

*24 საათი*

## რომან გოცირიძე პოლონეთის ეროვნული ბანკის სამხარეო განყოფილების საქმიანობას გაეცნო

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე პოლონეთის ეროვნული ბანკის კრაკოვის სამხარეო განყოფილებას ეწვია. ქვეყნის მასშტაბით პოლონეთის ეროვნულ ბანკს 16 სამხარეო განყოფილება აქვს. კრაკოვში რომან გოცირიძე პოლონეთის ეროვნული ბანკის ამ სამხარეო განყოფილების საქმიანობას გაეცნო. მოგვიანებით კი, ვარშავაში პოლონეთის ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი მოინახულა, სადაც ფულის ნიშნების დახარისხება და განადგურება ხდება.

რომან გოცირიძემ თავის პოლონელ კოლეგას ლეშეკ ბალცეროვიჩს აცნობა იმ სიახლის თაობაზე, რომლის განხორციელებასაც საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალში გეგმავს - უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად, საერთაშორისო პრაქტიკიდან და ქალაქ თბილისის განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი ნაღდი ფულის სალაროსა და ფასეულობის საცავის განთავსებას ქალაქგარეთ, სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ შენობაში გეგმავს. ახალი საკასო ცენტრი გააკონტროლებს ნაღდი ფულით განხორციელებულ ყველა ოპერაციას და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით უზრუნველყოფს ფასეულობასთან დაკავშირებული საქმიანობის ერთიან, დახურულ სივრცეში უსაფრთხო წარმოებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ ლეშეკ ბალცეროვიჩი საპასუხო ვიზიტით საქართველოში მოიწვია. **"პოლონეთი, რომელიც ევროკავშირის წევრი გახდა, ევროზონაში შესვლისადმი სერიოზულადაა განწყობილი. შესაბამისად, ცდილობს, რომ მთელი მისი ფულადი სისტემა და ტექნიკური მახასიათებლები ევროპულ სტანდარტებს მიუახლოოს. პოლონეთის გამოცდილების გაზიარება საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ევროგაერთიანებაში ინტეგრირების გზა ჯერ გასავლელი გვაქვს,"** – განაცხადა რომან გოცირიძემ.

კრაკოვში ყოფნისას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ერთი სიურპრიზი ელოდა - ქალაქის ისტორიულ ბაზრის მოედანზე, რომელიც ფართობით თბილისის თავისუფლებისა და რესპუბლიკის მოედნებს უტოლდება, 300 კაფე-რესტორანია განლაგებული. მათ შორის აღმოჩნდა ქართული სახაჭაპურეც, რომელიც, ტრადიციულად, ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი დაწესებულებაა კრაკოვში. ამ ქალაქში კიდევ სამი ქართული რესტორანია. **"დიდი კმაყოფილებით აღმოვაჩინეთ, რომ ქართულ სახაჭაპურეს მომხმარებელი არ აკლია. სასიამოვნოა, რომ პოლონეთსა და, საერთოდ, ევროპაში ქართული სამზარეულო სერიოზულად იკიდებს ფეხს,"** – აღნიშნა რომან გოცირიძემ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პოლონეთს სამუშაო ვიზიტით პირველ აგვისტოს ეწვია. რომან გოცირიძემ პოლონეთის ეროვნული ბანკის ორგანიზებით მოწყობილ სემინარზე გააკეთა მოხსენება – „საქართველო: ეკონომიკური ცვლილებები და პერსპექტივები „ვარდების რევოლუციის" შემდეგ". სემინარს, რომელიც პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ლეშეკ ბალცეროვიჩმა გახსნა, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირები, კომერციული ბანკების წარმომადგენლები, მეცნიერები, პოლონური ბიზნესისა და პრესის წარმომადგენლები დაესწრნენ. ვიზიტის მსვლელობისას გადაწყდა, რომ პოლონეთის ეროვნული ბანკი საბანკო ზედამხედველობის, სავალუტო და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში საქართველოს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს.

*24 საათი*

## გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს უფლებამოსილება შეუჩერდა

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქართლოს სულაბერიძე სამოსამართლო საქმიანობას ჩამოაშორეს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ, სულაბერიძის მიმართ აღძრული სადისციპლინო დევნის განხილვის შემდეგ, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო, რასაც მისთვის მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაც მოჰყვა.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სულაბერიძის გათავისუფლების მიზეზებზე არ საუბრობენ, ვინაიდან მოსამართლეთა სადისციპლინო საქმის წარმოება კონფიდენციალურია.

სულაბერიძეს მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ჯერ სადისციპლინო საბჭოში, ხოლო შემდეგ საქართველოს პრეზიდენტთან აქვს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## აზერბაიჯანის შს მინისტრი პოსტის დატოვებას სკანდალის გარეშე არ აპირებს

აზერბაიჯანის შს მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი რამილ უსუბოვი, რომელსაც დიდი ხანია თანამდებობის დატოვების საფრთხე ემუქრება, აცხადებს, რომ პოსტს სკანდალის გარეშე არ დატოვებს.

როგორც "ნეზავისიმაია გაზეტა" წერს, შს სამინისტროს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევზე და სახელმწიფოს ახლანდელ მეთაურზე ილჰამ ალიევზე კომპრომატებს ფლობს.

მინისტრის თქმით, საქმე ეხება ორი წლის წინ ბაქოს საგამოძიებო იზოლატორიდან დაღესტნელი აბუზარ აბუზაროვის გაქცევას, რომელსაც რუსეთი რამდენიმე მკვლელობაში და სხვა მძიმე დანაშაულში სდებს ბრალს.

როგორც უსუბოვმა განაცხადა, აბუზაროვი, იმის ნაცვლად, რომ მოსკოვისთვის გადაეცათ, გაათავისუფლეს. მინისტრის თქმით, მეზობელი დაღესტნის "პატივცემული" ადამიანების მოსმენა და აბუზაროვის საქმეში "გარკვევა" მას უშუალოდ აზერბაიჯანის ყოფილმა პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა დაავალა. შედეგად აზერბაიჯანის შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს ყოფილი უფროსის გენერალ ზაქირ ნასიროვის ხელმძღვანელობით საშიში დამნაშავის ციხიდან გაქცევის ინსცენირების გეგმა შემუშავდა.

ადგილობრივი ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ უსუბოვის "მოგონებები" სხვა არაფერია, თუ არა ახლანდელი პრეზიდენტის ილჰამ ალიევისთვის გაგზავნილი გამაფრთხილებელი სიგნალი იმ შემთხვევისთვის, თუ ის მას თანამდებობიდან გადააყენებს. შს მინისტრმა ამგვარად მიანიშნა, რომ ბევრი რამ იცის და გადადგომის შემთხვევაში შეუძლია, საინტერესო დეტალები გაიხსენოს. ჯერჯერობით არც ილჰამ ალიევი, არც მისი გარემოცვა უსუბოვის განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს.

*ინტერპრესნიუსი*

## განცხადება

საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალური დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად განცხადებების მიღება გაგრძელდა ერთი კვირით. საბუთების მიღება იწარმოებს 13 აგვისტოს 18 საათამდე.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საკონსულტაციო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა.

საკონსულტაციო ჯგუფი საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის მიზნით შეიქმნა და მასში, ცესკო-ს წევრების გარდა, პოლიტიკური პარტიები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები არიან გაერთიანებული. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გასვლით სხდომებს ატარებს. "ეროვნულ-დემოკრატები" დღეს ზუგდიდში პარტიის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ბიუროსთან შეხვედრას გამართავენ. გაიმართება ასევე შეხვედრა ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსთან მეუფე გერასიმესთან. 7 აგვისტოს ედპ-ს მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ბაღდათში გაემგზავრებიან, სადაც პარტიის იმერეთის სამხარეო ბიუროს წარმომადგენლებს და ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოსს, მეუფე ანტონს შეხვდებიან. შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ ედპ-ს თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა, პრეზიდიუმის წევრები უტა ლიპარტია, გოგა გოგნიაშვილი, გიორგი ხმელიძე და ედპ-ს საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლები. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ახალქალაქი.** ახალქალაქის N62-ე რუსული სამხედრო ბაზიდან ავტომანქანების გაყვანა დაიწყო. სამხედრო შტაბის ოცი ერთეული ავტომანქანა ვლადიკავკაზის გავლით ქალაქ პროხლადნიში ჩავა, დანარჩენი 9 ერთეული კი ორშაბათს ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზაზე დაბრუნდება. ისინი კოლონის უსაფრთხო გადაადგილებას ემსახურებიან. სამხედრო გადაადგილებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალციხის სამხედრო გარნიზონის კომენდატურა ხელმძღვანელობს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თიანეთის რაიონის გამგებელი გოდერძი ბერბერაშვილი სულ მალე თანამდებობას დატოვებს. ბრძანებულებას თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ პრეზიდენტი სააკაშვილი უახლოეს დღეებში მოაწერს ხელს. წინასწარი ინფორმაციით, გამგებლის მოხსნის ინიციატივა მისი მუშაობით უკმაყოფილო პრემიერ-მინისტრს, ზურაბ ნოღაიდელს ეკუთვნის. **ჯი-ეჩი-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის ანდრეი კოკოშინის განცხადებას იმის თაობაზე, თითქოს თბილისი "ომისათვის ემზადება და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ირგვლივ ქართული საჯარისო ნაწილების კონცენტრაციას ახდენს." როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით სიხარულიძემ განაცხადა, კოკოშინის ეს განცხადება საფუძველს მოკლებულია და არანაირი დამატებითი ძალების თავმოყრა არ ხდება. მისივე თქმით, "თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა" და რუსული მხარე სწორედ ამ მეთოდს მიმართავს. "ნათქვამია - გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო. ზუსტად ასე იქცევა რუსული მხარე, კოკოშინის განცხადებებს სხვაგვარ ახსნას ვერ ვუძებნი," - განაცხადა დავით სიხარულიძემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა სოხუმის მერად ასტამურ ადლეიბა დანიშა. ადლეიბა გაზაფხულიდან სოხუმის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი იყო, 30 ივლისს კი იგი ქალაქის საკრებულოს წევრად აირჩიეს. აფხაზური კანონმდებლობის მიხედვით, ქალაქების მერებს თვითმმართველობის ორგანოების წევრებიდან პრეზიდენტი ნიშნავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რეპლიკა

გაზეთ "24 საათის" 5 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა პუბლიკაცია სახელწოდებით "საკრებულომ ახვლედიანი "აკურთხა", სადაც წერია:

"არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ საკრებულოს წევრებს გაზეთების "თბილისის" და "ვეჩერნი თბილისის" დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გაზეთები დედაქალაქის ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდეს." ვინაიდან გაზეთ "თბილისის" რედაქტორმა აღნიშნული წერილი არაკოლეგიალურად მიიჩნია, აქვე განვმარტავთ, რომ საკრებულომ გაზეთის წლის ბოლომდე დაფინანსების საკითხს მხარი ერთხმად (ხელის აწევით) დაუჭირა, თუმცა მომავალი წლიდან ამ უპირატესობის მოსაპოვებლად ტენდერის გამოცხადება მოითხოვა.

*თამარ დვალი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# „ოპოზიციური ბორკილები" ხელისუფლებისთვის

პირველი გვერდიდან

შეთანხმებას წინასწარი შიდაოპოზიციური არჩევნების (პრაიმერის) ჩატარების შესახებ. ოპოზიციური შეთანხმების ტექსტის ბოლოს საკუთარი ავტოგრაფები გუშინ "კონსერვატორმა" კობა დავითაშვილმა, "მემარჯვენე" დავით გამყრელიძემ, "ლეიბორისტმა" შალვა ნათელაშვილმა და პარტია "თავისუფლების" წარმომადგენლმა სოსო ბარათაშვილმა დატოვეს.

**"მინდა მადლობა ვუთხრა ყველა პარტიის წარმომადგენელს, რომლებიც გამოეხმაურნენ ჩვენს იდეას პრაიმერის ჩატარების თაობაზე. სამწუხაროდ, ხელისუფლება ძალადობის გზას დაადგა და მხოლოდ ერთიანობის დემონსტრირებით შეგვიძლია სახელისუფლებო ანტიდემოკრატიასთან ბრძოლა,"** - განაცხადა კობა დავითაშვილმა.

დავით გამყრელიძემ ოპოზიციის ამ ერთსულოვნებას **"ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში ახალი ფურცელი"** უწოდა და იმთავითვე გააფრთხილა დამსწრე საზოგადოება, რომ **"მიუხედავად თანამშრომლობისა, ჩვენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გვექნება და განსხვავებულ მოსაზრებებს გამოვხატავთ"**.

ყველაზე საინტერესო, ცხადია, ბატონი შალვას გამოსვლა იყო. მას უხარია, რომ "**ოპოზიციურმა ძალებმა, როგორც იქნა, თანამშრომლობის წერტილი მონახეს".**

შეთანხმებაზე ხელის მოწერის საზეიმო ცერემონიალს არ დასწრებია პარტია "თავისუფლების" ლიდერი კოკო გამსახურდია, რომელიც საქართველოში მხოლოდ



ოპოზიცია აცხადებს, რომ პრაიმერის ხელმოწერით ქართულ პოლიტიკაში ახალ ფურცელს შლის.

ინტერპრესნიუსი

18 აგვისტოსთვის ჩამოვა. თუმცა, პრაიმერის პრეზენტაციაზე გამსახურდიას მიმართვა წაიკითხეს, სადაც იგი ოპოზიციასთან თანამშრომლობის მზადყოფნას ადასტურებს.

როგორც შეთანხმებაშია ნათქვამი, ოპოზიციური პარტიები თანხმდებიან წინასწარი არჩევნების გზით ოპოზიციის საერთო კანდიდატების შერჩევაზე 2005 წლის შემოდგომაზე საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის - ბათუმის, შუახევის, ქობულეთის, ტყიბულისა და ისნის საარჩევნო ოლქებში. წინასწარი არჩევნების ჩატარების მიზნით, შეთანხმების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 დღისა, იქმნება ცენტრალური, საოლქო და საუბნო წინასაარჩევნო კომისიები. წინასწარ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ოპოზიციონერები, შეთანხმების თანახმად, "შესაბამის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ხმის უფლების მქონე ნებისმიერ მოქალაქეს" იწვევენ.

კენჭისყრის დღე დაინიშნება "ნამდვილ" შუალედურ არჩევნებამდე არა უგვიანეს ათი დღისა. წინასწარ არჩევნებში კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს შეთანხმების მონაწილე პარტიას - წინასწარი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს ერთი თვისა. გამარჯვებულ კანდიდატებს მხარდაჭერას საჯაროდ გამოუცხადებენ შეთანხმების მონაწილე პარტიების ლიდერები.

როგორც შეთანხმებაშია აღნიშნული, **"წინასწარი არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან ორი დღის ვადაში მონაწილე პარტიები ხსნიან საკუთარ კანდიდატებს, გარდა გამარჯვებული კანდიდატებისა"**.

ოპოზიციურ პარტიებთან თვენახევრიანი აქტიური კონსულტაციების მიუხედავად, "რესპუბლიკური პარტია" ამ "დიდი ოპოზიციური წამოწყების" მიღმა დარჩა.

"რესპუბლიკელები" პოლიტიკურ ძალებს პრაიმერის ნაცვლად, სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებასა და ამ გზით შუალედური არჩევნებისათვის საერთო კანდიდატის გამოვლენას სთავაზობდნენ, რაც დანარჩენმა პარტიებმა არ გაიზიარეს.

"რესპუბლიკელები" გუშინდელ შეხვედრაზე მაინც ახსენეს. **"მიუხედავად იმისა, რომ "რესპუბლიკელებმა" არ მოაწერეს ხელი მემორანდუმს, პირდაპირ ვაცხადებ, რომ დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმის ფაქტზე ჩვენ არ გავჩუმდებით და ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. პირდაპირ ვაცხადებ, ვალერი გელაშვილზე თავდასხმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეუკვეთა და ეს შეკვეთა ვანო მერაბიშვილმა განახორციელა,"** - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

პრაიმერთან დაკავშირებით გაფორმებული შეთანხმების მიუხედავად, ოპოზიცია მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბებას კატეგორიულად გამორიცხავს. **"ჩვენ ხელისუფლებას მივცემთ მაგალითს, როგორ უნდა ჩატარდეს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები. თუმცა, საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბებაზე საუბარი არ არის,"** - აღნიშნა პრაიმერის იდეის ავტორმა კობა დავითაშვილმა.

ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციისა, მათი თანამშრომლობა პროდუქტიული იქნება. ხოლო "24 საათის" კითხვაზე, თუ რამდენად კომფორტულად გრძნობს თავს კობა დავითაშვილი თუნდაც შალვა ნათელაშვილის გვერდით, მთავარმა "კონსერვატორმა" განაცხადა: **"არავითარი დისკომფორტი არ მაქვს, მე უარესების გვერდითაც ვმდგარვარ".**

# შუალედური არჩევნები "რესპუბლიკელების" გარეშე

პირველი გვერდიდან

აღარ არის და, შესაბამისად, ამ პარტიის კანდიდატები 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ. ოპოზიციური პარტიის ლიდერმა ბრიფინგზე მმართველი ძალა იმაშიც დაადანაშაულა, რომ სახელისუფლებო კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიას საბიუჯეტო სახსრებით აწარმოებენ, ოპოზიციისთვის კი საინფორმაციო სივრცე დახურულია.

**"მმართველი პარტია წესების გარეშე გვებრძვის და ჩვენ ამ გამოწვევას ვიღებთ. ვინაიდან შუალედურ არჩევნებს ჩამოგვაშორეს, "რესპუბლიკური პარტია" ორიენტირად 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს იღებს,"** - აცხადებს დავით უსუფაშვილი. მისივე განცხადებით, საარჩევნო შტაბს სათავეში თინათინ ხიდაშელი ჩაუდგება, რომელიც, ამავე დროს, პარტიის თბილისის ორგანიზაციას უხელმძღვანელებს.

"რესპუბლიკელთა" თავკაცის მიერ გამოთქმული ბრალდებების საპასუხოდ, ცესკო-ს თავმჯდომარემ გუშინვე "კონტრბრიფინგი" გამართა. გიორგი ქავთარაძე ვარაუდობს, რომ **"რესპუბლიკელებს" არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ სურთ და მიზეზებს ეძებენ."** ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი საქმის ვითარებას შემდეგნაირად წარმოაჩენს: 2 აგვისტოს "რესპუბლიკურმა პარტიამ" ცესკო-ს მიმართა განცხადებით, რომლითაც ის საარჩევნო რეგისტრაციაში გავლას ითხოვდა. კანონის თანახმად, რეგისტრაციაში გასატარებლად, პოლიტიკურმა პარტიამ ცესკოში გარკვეული სახის დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს, რომელშიც ზუსტად იქნება მითითებული მისი წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები.

გიორგი ქავთარაძე აღნიშნავს, რომ 2 აგვისტოს განცხადებაში "რესპუბლიკელებმა" ცესკოში თავისი წარმომადგენლის ვინაობა კი დაასახელეს, მაგრამ მისი უფლებამოსილების ფარგლებზე არ მიუთითეს.

**"აღნიშნულის თაობაზე დავით უსუფაშვილს წერილობით ვაცნობე, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიმიღია,"** - აცხადებს ცესკო-ს თავმჯდომარე. მისივე თქმით, თუკი კანონით დადგენილ ვადებში "რესპუბლიკელები" ცესკო-ს დაზუსტებული განცხადებით მიმართავენ (საამისოდ კიდევ ორი დღეა დარჩენილი), ისინი რეგისტრაციაში უპრობლემოდ გატარდებიან.

როგორც ირკვევა, ანალოგიურ შემთხვევას ჰქონია ადგილი "კონსერვატორული პარტიის" რეგისტრაციაში გატარების დროსაც - მათი წარმომადგენლის კახა კუკავას უფლებამოსილება არც მათ განცხადებაში ყოფილა დასახელებული.

**"კონსერვატორებმა" ეს ხარვეზი ყოველგვარი ხმაურის გარეშე აღმოფხვრეს და ამის შემდეგ რეგისტრაცია უპრობლემოდ გაიარეს,"** - დასძენს გიორგი ქავთარაძე.

მის არგუმენტებზე "პასუხის პასუხს" იძლევა "რესპუბლიკელი" თინათინ ხიდაშელი. "24 საათთან" საუბარში იგი განმარტავს, რომ "კონსერვატორების" რეგისტრაციაში გავლა მართლაც აუცილებელი იყო, ვინაიდან მათ პარტია ახლადშექმნილი აქვთ, ხოლო რაც შეეხება "რესპუბლიკელებს", მათ განცხადებით ცესკო-ს მიმართეს არა რეგისტრაციისთვის, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სურდათ, თავისი ძველი წარმომადგენელი ფრიდონ საყვარელიძე ახლით, ზურაბ მარაქველიძით შეეცვალათ.

**"რვა დღის განმავლობაში ცესკო-დან ამაოდ ველოდით პასუხს იმ შეტყობინებაზე, რომელზე რეაგირებისთვისაც 24 საათი სრულიად საკმარისია. პასუხი ცესკო-დან მხოლოდ ჩვენი ბრიფინგის გამართვამდე 10 წუთით ადრე მოგვივიდა,"** - აცხადებს თინათინ ხიდაშელი. მისივე თქმით, ცესკო დღესაც იგივე მეთოდებით მოქმედებს, როგორც ნანა დევდარიანის დროს. **"ჰოდა, ისევე დაასრულებს თავის მოღვაწეობას,"** - გიორგი ქავთარაძისთვის არცთუ სახარბიელო პროგნოზს აკეთებს "რესპუბლიკური პარტიის" საარჩევნო შტაბის უფროსი.

# იმერეთში პოლიციის უფროსების ბედს რწმუნებულები წყვეტენ

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისი

იმერეთში მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა მონაცვლეობის პარალელურად, პერმანენტულად იცვლებიან რეგიონის პოლიციის უფროსებიც. შესაბამისად, როცა იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობა დატოვა დავით მუმლაძემ, იგივე ბედი გაიზიარა მხარის მთავარმა შერიფმა ზურაბ ჩიკვაიძემაც, რომელმაც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამ თანამდებობაზე შაშიაშვილის გუბერნატორობის დროინდელი პოლიციის უფროსი ზაზა ძნელაძე შეცვალა. მუმლაძის მემკვიდრემ გია გეწაძემ იმერეთში თბილისიდან თან პოლიციის ახალი უფროსი გია კაჭარავა ჩამოიყოლა. ხოლო მას შემდეგ, რაც გეწაძე თბილისში დაბრუნდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მის კვალს კაჭარავაც გაუყვებოდა, მაგრამ იმერეთის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე ოთხი თვის დანიშნულ კაჭარავას, ამ პოსტზე ყოფნა კიდევ ოთხი თვით გაუხანგრძლივდა.

ამ ხნის მანძილზე იმერეთის შერიფი მისი მეგობრის, შს მინისტრის მოადგილის გია გეწაძის შესაბამის შემოთავაზებას ელოდა სამინისტროში დაწინაურების თაობაზე, მაგრამ ამასობაში პოსტის დატოვება და კერძო სექტორში გადაბარგება თავად გეწაძეს მოუხდა. გავრცელებული ინფორმაციით, იმავდროულად თანამდებობიდან წასვლის თაობაზე პატაკით გია კაჭარავამაც მიმართა შს მინისტრს. თუმცა, ვიდრე ვანო მერაბიშვილი იმერეთის პოლიციის უფროსის ბედს გადაწყვეტდა, გია კაჭარავამ თავი შვებულებას შეაფარა. შვებულებაში გასვლის წინ მან იმერეთის შს მთავარ სამმართველოში მისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი ოთახიც გაათავისუფლა. მიუხედავად ამისა, სამხარეო პოლიციაში უფროსის თანამდებობიდან წასვლის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფდნენ. პოლიციის უფროსის მოადგილის ზაზა გონგაძის განმარტებით, კაჭარავა 22 ივლისიდან 5 აგვისტომდე კუთვნილი შვებულებით სარგებლობდა, საცხოვრებელი ოთახის დაცლა კი, მისი თქმით, ავეჯის განახლებასთან იყო დაკავშირებული.

3 აგვისტოს ქალაქში გავრცელებულ ჭორებსა და მითქმა-მოთქმას შს მინისტრის მოადგილის ლევან გვაზავას ქუთაისში ვიზიტმა დაუსვა წერტილი. გვაზავამ თბილისიდან იმერეთის პოლიციის ახალი უფროსი, ანტიტერორისტული დეპარტამენტის უფროსის უკვე ყოფილი მოადგილე ლევან კახიანი ჩამოიყვანა და მხარის ექს-შერიფი გია კაჭარავა თბილისში წაიყვანა.

**"ლევან კახიანი ახალგაზრდა, ენერგიული, გამოცდილი ოპერატიული მუშაკია და, რაც მთავარია, პატიოსანი პიროვნებაა. მას ძალიან დიდი წვლილი აქვს შეტანილი ტერაქტებისა და სხვადასხვა მძიმე დანაშაულების გახსნაში. რაც შეეხება გიორგი კაჭარავას, იგი გადაყვანილი იქნა საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელად, სადაც ვაკანტური თანამდებობა იყო და რადგან ბატონი გიორგი გამოცდილი პიროვნებაა, მოღვაწეობას გააგრძელებს ამ თანამდებობაზე,"** - განაცხადა ლევან გვაზავამ "24 საათთან" საუბარისას.

კაჭარავას იმერეთში მოღვაწეობის დროს არ განხორციელებულა მისი წინამორბედის პერიოდში ფართოდ გავრცელებული სპეცოპერაციების სერია თანამდებობის პირებისა და კრიმინალური ავტორიტეტების დაკავების მიზნით. **"გავაგრძელებ იმ საქმეებს, რასაც აკეთებდა ბატონი გიორგი და ვიქნებით კრიმინალების დაუძინებელი მტერი. რაც შეეხება პრიორიტეტებს, ამას დრო გვიჩვენებს. პირველ რიგში, შევხვდები ყველა დანაყოფს, გავეცნობი პირად შემადგენლობას და შესაბამისად ჩამოყალიბდება სამოქმედო პროგრამაც,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა პოლიციის ახალმა უფროსმა ლევან კახიანმა.

ჯერჯერობით სხვა საკადრო ცვლილება იმერეთის პოლიციაში არ განხორციელებულა, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, საკადრო გადახალისება, უპირველესად, ქუთაისის, წყალტუბოსა და ხონის სამმართველოებს შეეხება. სავარაუდოდ, საკადრო ცვლილებების მორიგი რაუნდი მომავალი კვირიდან დაიწყება, როცა პრეზიდენტი იმერეთში თავის ახალ რწმუნებულს დანიშნავს.

# სულხან მოლაშვილის საქმეში მესამე ადვოკატი ჩაერთო

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნება და მოწმეთა დაკითხვა ვერც გუშინდელ სასამართლო პროცესზე მოხერხდა. მართალია, განმწესრიგებელი სხდომის შემდეგ უკვე მეოთხე საამართლო პროცესი გაიმართა, მაგრამ საქმის არსებითი განხილვა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. განსასჯელმა სულხან მოლაშვილმა, რომელსაც პროკურატურა სახელმწიფოსა და იურიდიული პირებისათვის 3 მილიონ ლარამდე ზარალის მიყენებას და თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ედავება, გუშინ სასამართლო დარბაზის გალია პროტესტის ნიშნად დატოვა. საქმე ისაა, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარის ახალმა ადვოკატმა თემურ ნემსაძემ საქმის მასალების გასაცნობად კანონით მინიჭებული 30-დღიანი ვადა მოითხოვა.

**"მოლაშვილის ადვოკატები საქმის განხილვას ხელოვნურად აჭიანურებენ და ამის გამო, საქმის მასალების დამატებით გაცნობას იმიზეზებენ,"** - ასე ახსნეს სახელმწიფო ბრალმდებლებმა განსასჯელის ახალი ადვოკატის შუამდგომლობის მიზეზი. მოსამართლემ მანუჩარ კაპანაძემ განსასჯელის ახალ ადვოკატს საქმის მასალების გასაცნობად მხოლოდ ოთხდღიანი ვადა მისცა.

**"თუ ასე გაგრძელდება, მე დაცვაზე უარს ვიტყვი და აღარც სასამართლო პროცესს დავესწრები,"** - ამ სიტყვებით დატოვა სასამართლო დარბაზი მოსამართლის გადაწყვეტილებით განაწყენებულმა კონტროლის პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ. მისი ინტერესების დამცველი თემურ ნემსაძე კი მოსამართლის გუშინდელი გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

**"მოლაშვილის ადვოკატები შალვა შავგულიძე და სოსო ბარათაშვილი 7 სექტემბრამდე შვებულებით სარგებლობენ, რის გამოც, მოლაშვილთან შეთანხმებით, საქმეში ჩავერთე. სულხან მოლაშვილის საქმე 25-ტომიანია და თითოეული ტომი 500 გვერდისგან შედგება. შესაბამისად, ამ მასალების გასაცნობად მინიმუმ 25 დღე მაინც არის საჭირო. წარმოუდგენელია 25 ტომის ოთხ დღეში გაცნობა. მოსამართლემ კი პროკურატურის პოზიცია გაითვალისწინა და ვადაში შემზღუდა,"** - აცხადებს თემურ ნემსაძე.

*24 საათი*

# საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის ბიუროებმა ერთ თვეში 86 განცხადება განიხილეს

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის თბილისის გლდანი-ნაძალადევისა და ზესტაფონის ბიუროს ადვოკატებმა ერთი თვის განმავლობაში 86 განცხადება განიხილეს და მოქალაქეებს შესაბამისი კონსულტაციები გაუწიეს. ბიუროების ადვოკატები 18 სისხლის სამართლის საქმეში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დამცველის სტატუსით ჩაერთნენ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის ბიუროს ადვოკატები სისხლის სამართლის ათ საქმეში იცავენ ბრალდებულებს. აქედან ოთხ საქმეში ადვოკატის ჩართვა მოქალაქეების, ოთხში - შს სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, ხოლო ორში ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურის მოთხოვნით მოხდა.

ზესტაფონის ტერიტორიული ბიუროს ადვოკატები სისხლის სამართლის დანაშაულში 8 ბრალდებულს იცავენ. 4 საქმეზე ადვოკატის დანიშვნა მოქალაქის, ხოლო 4 საქმეზე - პოლიციის მოთხოვნის საფუძველზე მოხდა.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის უფროსის თამთა ქოჩაკიძის ინფორმაციით, მოქალაქეები ბიუროებს, ხშირ შემთხვევაში, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში ჩართვის მოთხოვნით მიმართავენ, რაც ამ სამსახურის კომპეტენციაში არ შედის, თუმცა ადვოკატები ასეთ მოქალაქეებს, შესაძლებლობის ფარგლებში კონსულტაციას უწევენ.

ტერიტორიულ ბიუროებს სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილმა 16-მა მოქალაქემ დაცვისათვის მიმართა, თუმცა სახაზინო ადვოკატის სამსახური ამ შემთხვევაშიც კონსულტაციით შემოიფარგლა, ვინაიდან სამსახურს მხოლოდ ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის უფლებების დაცვა ევალება.

შეგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური უფასო იურიდიული დახმარების რეფორმის ფარგლებში შეიქმნა და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. სამსახურს ფინანსურად უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო, "აირის - საქართველო" და აშშ განვითარების სააგენტო საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური ერთი წლის განმავლობაში 2005 წლის 1 ივლისს ამოქმედებულ ორ ტერიტორიულ ბიუროში (გლდანი-ნაძალადევისა და ზესტაფონის) დასაქმებულ ადვოკატთა მეშვეობით სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე სოციალურად დაუცველ ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებს დაიცავს. ამჟამად, მიმდინარე ერთწლიანი პროექტი საცდელია. მომავალი წლიდან ასეთი ბიუროები მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდება.

*24 საათი*

# გიორგი ღონღაძის ქვრივი საქმის სასამართლოში განხილვას ნაადრევად მიიჩნევს

ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის ქვრივი მიროსლავა ღონღაძე ქმრის საქმის სასამართლოსთვის გადაცემას ნაადრევად მიიჩნევს. მისი აზრით, სასამართლო პროცესი უნდა გადაიდოს, რადგან დამნაშავისთვის გამოძიებას ჯერ არ მიუგნია. "სიტუაცია სხვადასხვა სცენარით შეიძლება განვითარდეს. მას, ვინც ახლა დამნაშავედ მიიჩნევა, ჩვენების შეცვლა შეუძლია. საქმე მხოლოდ მაშინ უნდა გადაეცეს სასამართლოს, როდესაც დანაშაულის ყველა დეტალი გამოიკვეთება და დამკვეთებისა და შემსრულებლების ვინაობა დაკონკრეტდება", - აცხადებს მიროსლავა ღონღაძე.

შეგახსენებთ, რომ კვირის დასაწყისში უკრაინის გენერალურმა პროკურორმა სვიატოსლავ პისკუნმა განაცხადა, რომ ღონღაძის მკვლელობასთან დაკავშირებით საქმის გამოძიების პირველი ეტაპი დასრულდა და გამოძიების მასალები გასაცნობად ღონღაძის დედასა და მეუღლეს უნდა გადასცემოდა.

გენერალური პროკურატურის პრესსამსახურის ცნობით, როგორც კი ღონღაძის ოჯახის წევრები მასალას გაეცნობოდნენ, საქმე სასამართლოს გადაეცემოდა.

*ჯი-ეჩი-ენი*

# ალექსანდრე ანქვაბი სამუშაო ვიზიტით მოსკოვში იმყოფება

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი სამუშაო ვიზიტით მოსკოვში იმყოფება.

მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში, ალექსანდრე ანქვაბმა რუსეთის მთავრობის მიერ აფხაზეთში სოციალურ-ეკონომიკურ დახმარებასთან დაკავშირებული პროგრამების მიმდინარეობის საკითხები, აფხაზეთში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებისათვის პენსიების დროულად დარიგების, ასევე აფხაზეთში მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების გაცემის საკითხები განიხილა.

მოსკოვში ყოფნისას ალექსანდრე ანქვაბი იმ კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა, რომელთა ინვესტიციებითაც აფხაზეთში კონკრეტული პროექტები ხორციელდება.

რაც შეეხება რუსეთის მოქალაქეობას, იგი აფხაზეთში მცხოვრებ 170 ათასზე მეტ მოქალაქეს აქვს მიღებული, რაც დადასტურებულია ე.წ. საბჭოთა პასპორტებში შტამპით. ამჟამად ისინი ხელისუფლებისგან რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების მიღებას ელოდებიან.

*ინტერპრესნიუსი*

# დამნაშავეები „გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში"

გუშინ ფინანსურმა პოლიციამ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" თანამშრომლები დააკავა. როგორც ფინანსური პოლიციის იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზვიად მოსაშვილმა განაცხადა, დაკავებულნი არიან "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" წყალტუბოს სერვის-ცენტრის ხელმძღვანელი კახაბერ ბაკურაძე, თერჯოლის ენერგოკომპანიის ექსპლუატაციის მენეჯერი ზურაბ იმნაძე, ბაღდათის ენერგოკომპანიის გასაღების სამსახურის უფროსი ავთანდილ ლომინაძე და ქუთაისის ენერგოკომპანიის კონტროლიორი ალექსანდრე ლიკლიკაძე. მათ ბრალად ედებათ მოსახლეობიდან აკრეფილი ელექტროენერგიის საფასურისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხების მითვისება, რომელიც საერთო ჯამში 20 ათას ლარს შეადგენს.

ლიკლიკაძეს და ბაკურაძეს სასამართლომ უკვე შეუფარდა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა, დანარჩენების სასამართლო პროცესები კი ამჟამად მიმდინარეობს.

თავად, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ფინანსური პოლიციის ბრალდებას არ ეთანხმება. როგორც ენერგოკომპანიაში აცხადებენ, მათ მომხმარებლების ელექტროენერგიით მომარაგება ქვეყანაში არსებული მწვავე ენერგოკრიზისის პირობებში უწევთ. **"ქვეყანაში შეზღუდული ენერგორესურსების არსებობის დროს ელექტროენერგიით სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მომარაგება ხდება. ამ დროს პრიორიტეტი მოსახლეობის, საავადმყოფოების და სხვა ობიექტების მომარაგებას ენიჭება. ამ ფონზე ენერგოკომპანია შპს "ლაჟვარდის" და სხვა ანალოგიური საწარმოების უწყვეტ ელექტრომომარაგებაზე პასუხს ვერ აგებს,"** - განაცხადეს ენერგოკომპანიაში.

გუშინვე, ფინანსურმა პოლიციამ "სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" კიდევ ერთი თანამშრომელი დააკავა. ფინანსურმა პოლიციამ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ლანჩხუთის სერვის-ცენტრის თანამშრომელი ოლეგ იმნაიშვილი დააკავა. მასაც ენერგოკომპანიის კუთვნილი თანხის მითვისება ედება ბრალად.

*24 საათი*

# ვარდების რევოლუციის ჯოკერი

შავ ანაფორაში ჩაცმული ეპისკოპოსების წინამძღოლობით, კლდეში ნაკვეთი ეკლესიისკენ მიდის, ემთხვევა ხატს, ანთებს სანთელს, რამდენიმე წუთით უძველეს ფრესკებთან განმარტოვდება, ტაძარში ისმის მონაზონთა გალობა; მას თან ახლავს უკრაინელი კოლეგა ბორის ტარასიუკი.

სალომე ზურაბიშვილი რამდენიმე საათით თავის დიპლომატიურ საქმიანობას ჩამოშორდა, რათა სტუმართან ერთად ქვეყნის სამხრეთით მდებარე კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია დაეთვალიერებინა. მე-12 საუკუნის რელიგიური ნაგებობის მოსანახულებლად ვერტმფრენით ჩამოფრინდნენ. მონასტერმა აქ კომუნისტების დროს შეწყვიტა ფუნქციონირება, თუმცა, მოგვიანებით, აღადგინეს. მათ მოლიმარი ბერები და მონაზვნები ეგებებიან, ისმის ზარების რეკვა.

ქვეყნის ქრისტიანული თვითმყოფადობის სიმბოლო – ვარძია, კავკასიაში შემოსულ დამპყრობელთა, განსაკუთრებით ირანისა და თურქეთის მიერ მრავალგზის განადგურდა. რვა საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თამარ მეფე აქ ფეხშიშველი ლოცულობდა, თურქ დამპყრობელთა გარემოცვაში მყოფი საკუთარი ლაშქრის გადასარჩენად.

"სალომე ფრანგს" ამის შესახებ ოდითგანვე სმენია თავისი მშობლებისგან, ბებია-ბაბუებისგან, წიგნებიდან... ის მართლმადიდებლად, ვარძიიდან რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებულ, პარიზის მე-15 კვარტალში განთავსებულ წმ. ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში მოინათლა.

ადგილობრივი ეპისკოპოსის მიერ გაშლილ დიდებულ სუფრასთან ქალბატონი მინისტრი საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნების გასაოცარ უნარზე საუბრობს და მონაზონთა მიერ წამოწყებულ გალობას ჰყვება. მას გაოცებული უყურებს უკრაინელი სტუმარი: **"საქართველოს აქვს მომავალი, მან შეძლო თავისი თვითმყოფადობის გადარჩენა,"** - ამბობს იგი.

ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილზე უკეთ ვინ ისაუბრებს.

საფრანგეთში აღზრდილი ეს ქართველი, კავკასიის პატარა ერის სამაგალითო წარმომადგენელია. სალომეს მიღმა წარსულია... ქართველები ცდილობენ აღადგინონ ის, რისი განადგურებაც წითელ არმიას სურდა. ეს მოულოდნელად მოხდა, ახალგაზრდა და ენერგიული საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ჟაკ შირაკის ინიციატივით.

2004 წლის მარტის ერთ მშვენიერ დღეს პარიზში ორმა პოლიტიკოსმა თანამშრომლობის აქამდე არარსებული ფორმა ჩამოაყალიბა. გამოცდილი ფრანგი დიპლომატი საფრანგეთმა საქართველოს გადაულოცა სწორედ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქვეყნის დახმარებისა და მისი ევროპასთან დაახლოების მიზნით.

წარმატება უდავოა. მაშინ, როცა მთავრობის პოპულარობა თანდათან ეცემა, სალომე ზურაბიშვილი რეიტინგის მიხედვით პირველ ადგილზეა.

ფრანგულ-ქართული ფენომენი ინტერესს იწვევს, **"კავკასიის პოსტკომუნისტური ქვეყნისთვის ეს უცხოა,"** - აღნიშნავს იგი.

სხვა აქაური ქალების მსგავსად იგი ელეგანტური გარეგნობისაა, შავი თმით, მწვანე თვალებით, ღია კანის ფერითა, და ტიპური ქართული წარბების ფორმით. პარიზის პოლიტიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული საქართველოში ფრანგული ინტელექტით ჩამოდის. საერთაშორისო ორგანიზაციებში მიღებული გამოცდილებით და სამინისტროში ჩატარებული საფუძვლიანი რეფორმით იგი თბილისის მოწონებას იმსახურებს.

პრეზიდენტი მას გადაწყვეტილების მიღებისას არ ზღუდავს. **"იგი საბავშვო ბაღის მსგავს მთავრობაში ერთადერთი პროფესიონალია,"** - აღნიშნავს ტელეკომპანია "იმედის" ჟურნალისტი გიორგი თარგამაძე.

ერთ-ერთი დიპლომატი ამბობს: **"მან წესრიგში მოიყვანა საგარეო საქმეთა სამინისტროს მართვის სისტემა."** იგი იხსენებს იმ არეულობას, რომელიც სუფევდა საელჩოებში სალომეს მოსვლამდე.

**"მინისტრი ტელევიზიით გამოსვლისას არასდროს იტყუება და იგი მექრთამე არ არის,"** - ამბობს ზურაბიშვილით მოხიბლული ტაქსის მძღოლი ბაბო.

სალომე ზურაბიშვილის არაჩვეულებრივი წარსულის მქონე წინაპრები დასაბამს თბილისში იღებენ. ძველი თბილისი - მრავალფეროვანი და გავლენიანი ქალაქი, საიდანაც მისი წინაპრები მოდიან. მაშინ, როცა რუსულ იმპერიაზე დამოკიდებული ერები დამოუკიდებლობას ითხოვდნენ, საქართველოც გამოღვიძებას იწყებს. ქართული ელიტის წარმომადგენლები რუსეთის მეფის კარზე ერთგულად მსახურობენ



*სალომე ზურაბიშვილი და ბორის ტარასიუკი ვარძიაში.*

მე-18 საუკუნის ბოლოდან. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, საქართველო იმპერიულ არმიას გენერლებით ამარაგებდა.

საფრანგეთში განათლებამიღებული არისტოკრატები და ინტელექტუალები სუვერენიტეტზე ოცნებობენ. მათ შორის არიან სალომეს გამოჩენილი წინაპრები. მისი დიდი ბაბუა - ნიკო ნიკოლაძე - მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, გერცენის ახლობელი, სოციალისტურ პარტიასთან დაახლოებული პირი, იცნობდა კ. მარქსს. ნიკო ნიკოლაძე ფოთის მერი გახლდათ. სალომეს ბაბუა ივანე ზურაბიშვილი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან დაახლოებული პირი და სენატის წევრი - მას სალომე უფრო ახლობელ ადამიანად მიიჩნევს.

სამი წლის განმავლობაში ახლად შექმნილი დამოუკიდებელი რესპუბლიკა უცხოური მთავრობების მხარდაჭერას იღებს. 1920 წელს პარიზსა და ბერლინში მიმავალ დელეგაციის წევრებს შორის გახლავთ სალომე ზურაბიშვილის დიდი ბაბუა ნიკო ნიკოლაძე. თუმცა, კავკასიას 1921 წ. უბედურება ატყდება თავს. ვ.ი. ლენინი, რომელიც "ხალხის ციხეებიდან გამოშვების" პირობას იძლევა, ქართული დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოცნებას სისხლში ახშობს.

გაქცევის ჟამი... ფრანგულ სამხედრო გემს ბათუმიდან ქართული ელიტის წარმომადგენლები გაჰყავს. მათ შორის არიან ზურაბიშვილები და მთავრობის წევრები.

სტამბოლში სამი წლის ემიგრაციის შემდეგ, ელიტა პარიზისკენ მიეშურება. საფრანგეთი 3000 კაცისგან შემდგარი ქართველთა სათვისტომოს თავშესაფარი ხდება. აქვე იხსნება "ქართული დიპლომატიური მისია", რომელიც 1934 წლამდე ფუნქციონირებს. თარიღი, როცა საფრანგეთი ახალი საბჭოთა რუსეთის საზღვრებს აღიარებს.

სალომესთვის, რომელიც 1952 წელს დაიბადა, ცივი ომის პერიოდში, ოჯახური დრამა არასდროს ყოფილა ხელშემშლელი. ქართულ ოჯახში, სადაც ფრანკოფონია მეორე ადგილზე იდგა, გარემოსთან ადაპტაცია ძნელი არ ყოფილა.

ფრანგული სკოლის მოსწავლე, პარიზის ინტელექტუალურ წრეში გაზრდილი ქართული წარმომავლობის მქონე სალომე სრულიად არ გრძნობდა იმ გარემოში უცხოდ თავს. მისი მამა, რომელიც საფრანგეთში ქართველთა ასოციაციას უდგას სათავეში, მაღაროელთა სკოლაში სწავლობდა. მისი ბებია ყველა ცნობილ ფრანგ პოეტს ქართულად თარგმნის. ქართული ენა სალომემ ოჯახურ გარემოში შეისწავლა. როგორც თბილისში ამბობენ, მისი ქართული ისე ჟღერს, როგორც ფრანგებისთვის კვებეკური ენა. **"ეს არ იყო თემური სახის სათვისტომო. მე ვგრძნობდი, რომ რაღაც უფრო მეტი გამაჩნდა, რომელიც არ უნდა დამეკარგა,"** - გაგვანდო მან.

რკინის ფარდის მიღმა მყოფ საქართველოსთან კონტაქტების სიძნელე, მის ბავშვურ წარმოსახვაში "ტრაგიკულად" ისახება. სალომე იხსენებს სპორტსმენთა იმ ჯგუფებთან ფარულ შეხვედრებს, რომლებიც თანმხლები სუკი-ს წარმომადგენლების მეთვალყურეობის ქვეშ მყოფნი მათგანვე დაძვრენას ცდილობდნენ.

ყოველივე განცდილი და მამისგან გადმოცემული ღრმა რწმენა, "რომ საქართველოს მომავალი აქვს", ახალგაზრდა გოგონას კარიერის არჩევისკენ უბიძგებს.

მას ჟურნალისტიკაში სურდა ეცადა ბედი, თუმცა არჩევანს დიპლომატიაზე აჩერებს. ჩადი, რომი, ვაშინგტონი - დიპლომატიურ საქმიანობას იგი საქართველოდან შორს მიჰყავს, მაგრამ მისი ცხოვრების ორი მამაკაცი - მისი შვილების მამა და ახლანდელი მეუღლე ორივენი ქართველები არიან – "ევროპელი ქართველები," - აზუსტებს იგი. **"მე ორივე სამყარო მჭირდება,"** - ღიმილით გვეუბნება მინისტრი.

1986 წელს თბილისში გამართული კონფერენცია განიარაღების შესახებ მას საშუალებას აძლევს, დიდი ხნის ოცნება აისრულოს. ეს პირველი მოგზაურობა, რომლის დროსაც დედა და შვილები ახლავს თან, ემოციურად დატვირთულია. "არანაირი შოკი, ყველაფერი ძალიან ბუნებრივი იყო," - იხსენებს იგი. თავისი ქვეყნის ხილვის ბედნიერებით აღსავსეს შეუმჩნეველი არ დარჩენია საბჭოთა რეჟიმის უნიათობა და სუკი-ს ორი მანქანა, რომელიც მას კვალდაკვალ დაჰყვებოდა.

ზურაბიშვილების ოჯახი საქართველოში 2003 წლის ნოემბერში ბრუნდება, ვარდების დემოკრატიულ რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე. მაშინ, როცა სალომე საქართველოში საფრანგეთის ელჩად ინიშნება.

რამდენიმე თვის მანძილზე იგი კე დ'ორსეს (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო) არწმუნებს, რომ დაინტერესებულია შემოთავაზებული თანამდებობით. ზოგისთვის "ეს ცუდი იდეაა" მისი ქართული წარმომავლობის გამო. სალომე დარწმუნებულია, რომ შეძლებს ახალ კავკასიასთან „ბუნებრივი ხიდის" გადებას.

2003 წლის ხავერდოვან რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე იგი რწმუნებათა სიგელებს გადასცემს ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც ქუჩის აქციების შედეგად გადადგა. შევარდნაძეს ენაცვლება მიხეილ სააკაშვილი, ქარიზმატული ახალგაზრდა. მას განათლება ნიუიორკსა და სტრასბურგში აქვს მიღებული და ცდილობს ორიგინალური ფორმებით ქვეყნის იზოლაციიდან გამოყვანას.

პრეზიდენტს ალბათ დაამახსოვრდა პარიზში გატარებული საღამო სალომესთან და მის ქმართან ერთად, რომელიც კინემატოგრაფი და გავლენიანი ქართველი ჟურნალისტი გახლავთ.

სამი თვის შემდეგ სალომე ზურაბიშვილი მინისტრი ხდება. იმისთვის, რომ სალომემ საქართველოს მოქალაქეობა მიიღოს და, ამასთანავე, საფრანგეთის მოქალაქეობა შეინარჩუნოს - ადგილობრივი პარლამენტი საგანგებოდ ახალ კანონს აძლევს ხმას. იწყება ახალი, მღელვარე ცხოვრება იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი თავიდანაა ასაშენებელი. მისი შვილები, რომლებიც ბრწყინვალე სტუდენტები არიან, ხშირად ჩამოდიან თბილისში. **"განსხვავებული გამოცდილების გამო, ვნერვიულობ, რომ სალომეს შეიძლება ზოგჯერ კარგად ვერ გაუგონ,"** - აღნიშნავს დედა, 84 წლის მომხიბვლელი ქალბატონი, რომელმაც თავად საქართველოს მოქალაქეობა საქართველოს პრეზიდენტისგან მაისში მიიღო.

სალომეს ხიბლავს საქართველოს უდიდესი პოტენციალი, რომელიც ნანგრევებიდან აპირებს აღმოცენებას და არ აშინებს ის ათასი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას.

კომპეტენტური კადრების სიმცირე აშკარაა. ეს ქვეყნის დიპლომატიური გამოუცდელობის შედეგია იმ დროიდან, როცა ქვეყანა მოსკოვს ექვემდებარებოდა. მაგრამ ახალ მინისტრს ერთი წამით არ სჯერა, რომ კავკასიური კლანური მოწყობა დემოკრატიულ გამოცდილებას კრახის წინ დააყენებს. **"კორუფცია კომუნისტური ნომენკლატურიდან მოდის, მას უნდა ვებრძოლოთ,"** - გადაჭრით ამბობს ის.

თანამდებობაზე მოსვლისთანავე, ახალი მინისტრი საელჩოების რეორგანიზაციას შეუდგა, რომელთა უმეტესი ნაწილიც ვაჭრობის ბუდედ იყო ქცეული. იგი ელჩების გადაყენება-დანიშვნასთან დაკავშირებით პარლამენტის ოლიგარქების ფარულ წინააღმდეგობას შეეჯახა.

სხვა დიდ წამოწყებებს შორის რუსეთი პრიორიტეტულ საკითხად რჩება. **"თუმცა, ბაზების გაყვანის შესახებ შეთანხმება პოზიტიურია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსკოვი ურთიერთობების საერთო ნორმალიზაციისთვის იყოს მზად,"** - აღნიშნავს მინისტრი.

ამჟამად სალომე ევროკავშირის სამეზობლო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებებისთვის ემზადება. ეს შესასრულებლად საკმაოდ დელიკატური დავალებაა. საჭირო იქნება ევროპელი პარტნიორების დაინტერესება აღმოსავლეთით მდებარე საზღვრით, რომლის ფასიც ევროპაში ჯერ გაცნობიერებული არ აქვთ. სალომემ იცის, რომ მისი როლი გადამწყვეტი იქნება.

"ამ გადამწყვეტ მომენტში ხომ არ აპირებთ წასვლას?" - შეწუხებული ეკითხებიან კოლეგები სწორედ იმ დროს, როცა გემი რყევას იწყებს. თავად იგი კი არაფერს გამორიცხავს. არც საფრანგეთში დაბრუნებას და არც თბილისში პოლიტიკაში დარჩენას. "როცა ორი შვილი გყავს, რომელთაგან ერთი ჯანმრთელია, მეორე კი მძიმედაა ავად, - აღნიშნავს იგი, - მთელი მზრუნველობა მეორეზე გადაგაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ერთნაირად გიყვარს"...

## "ცარის" მარცხი

თავის რუს კოლეგასთან წარმატებით დასრულებულმა მოლაპარაკებებმა ახლად დანიშნულ საგარეო საქმეთა მინისტრს მოლაპარაკებების სფეროში გამობრძმედილი დიპლომატის იმიჯი მოუხვეჭა. მაისის თვეში საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის შესახებ შეთანხმების მიღწევამ მას უდიდესი პოპულარობა მოუტანა. **"ეს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი მომენტია, ჩემთვის ამავდროულად ამ ფაქტს სიმბოლური დატვირთვა აქვს,** - აღნიშნავს იგი, - **ჩემი მშობლები რუსეთის არმიის მიერ იძულებით გაიხიზნენ საქართველოდან, მაგრამ ბედმა მე მარგუნა წილად მათი ქვეყნიდან გაყვანის თაობაზე მოლაპარაკებების წარმოება."** მისი კოლეგები ამაყობენ, როცა ხედავენ, როგორ მტკიცედ და უშუალოდ უჭირავს თავი ქალბატონ ზურაბიშვილს თავისი რუსი კოლეგის სერგეი ლავროვის წინაშე, მას არ აქვს "უმცროსი ძმის კომპლექსი". **"პირველადაა, რომ ქართველი მინისტრი რუსებს ქართულად მიმართავს, მაშინ, როცა საუკუნეების მანძილზე მოსკოვთან მხოლოდ რუსულ ენაზე საუბრობდნენ,"** – აღტაცებით აღნიშნავენ მისი კოლეგები.

*"Le Figaro"*
*2005 წლის 27 ივლისი*

# ევროპის „თამამი და გულუხვი" წინადადება ირანის ბირთვული პროგრამის სანაცვლოდ

პირველი გვერდიდან

**"იმედი მაქვს, რომ ირანი საღი აზრით იმოქმედებს, მოლაპარაკებებს განაგრძობს და არ გადადგამს ნაბიჯებს ბირთვული პროგრამის განახლების მიმართულებით,"** - ამბობს ფრანგი დიპლომატი.

პარალელურად, ლონდონი, პარიზი და ბერლინი აფრთხილებს ირანს, რომ ბირთვული პროგრამის განახლება კიდევ უფრო გაამძაფრებს პოლიტიკურ კრიზისს და უკვე ორი წლის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებს აზრს დაუკარგავს. ვითარება იმდენად გამოუვალი ჩანს, რომ ევროპელი შუამავლები მზად არიან, მხარი დაუჭირონ მშვიდობიან ბირთვულ პროგრამას, თუმცა, რასაკვირველია, ისეთს, რომელიც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პრინციპს დაიცავს. უფრო მეტიც, ევროპა ატომური ელექტროსადგურების მშენებლობაში დახმარებასაც ჰპირდება თეირანს, თუ სანაცვლოდ ურანის გამდიდრებაზე იტყვის უარს.

მიუხედავად ასეთი "თამამი და გულუხვი" წინადადებისა, სავარაუდოდ, თეირანი მაინც უარს იტყვის. ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენელმა ხუთშაბათს მოლაპარაკებების დროს ევროპელ მინისტრებს ფაქტობრივ შეცდომებში და მიუღებელი წინადადებების შეთავაზებაში დასდო ბრალი. ამავდროულად, თეირანი აცხადებს, რომ, რადგანაც ურანის გადამამუშავებისა და გამდიდრების შეჩერება დროებითი იყო, შესაბამისად, უკანონო არ იქნება ამ პროცესის განახლებაც.

ასე რომ, მოლაპარაკებებში ირანის დელეგაციის წარმომადგენელის ჰუსეინ მუსავიანის განაცხადებით, ევროპელი შუამავლების წინადადების მიუხედავად, ირანი ისპაჰანის მახლობლად მდებარე ბირთვულ ქარხანაში სამუშაოების განახლებას აპირებს. **"მაშინაც კი, თუ მათი (ევროპული სამეულის) წინადადება არ ითვალისწინებს ისპაჰანში სამუშაოთა განახლებას, ჩვენ მაინც განვაახლებთ მათ,"** - განაცხადა მუსავიანმა.

მომავალ კვირას ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო საგანგებო სხდომას მიუძღვნის ირანის საკითხს. მიმომხილველთა აზრით, თეირანის მიერ ევროპულ წინადადებაზე უარის თქმა ხელ-ფეხს გაუხსნის აშშ-ს, რომელიც ირანზე სანქციების დაწესებას შეეცდება.

თუმცა, სამეულის შეთავაზებაზე დათანხმების შემთხვევაშიც კი, შესაძლოა, ვაშინგტონმა ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ სანქციები ცალმხრივად შემოიღოს. საქმე ისაა, რომ გავრცელებული ხმებით, ლონდონის, პარიზისა და ბერლინის შეთავაზება ერთ ფრიად საჩოთირო (უფრო სწორად, აშშ-სთვის მიუღებელ) პუნქტს შეიცავს – ევროპული ქვეყნები, თეირანის მხრიდან დათმობის სანაცვლოდ, შეეცდებიან ცენტრალური აზიის ნავთობი ირანის ტერიტორიაზე გაატარონ.

ბუნებრივია, აშშ ვერ დაუშვებს, რომ ამერიკულმა კომპანიებმა დააფინანსონ ცენტრალური აზიიდან ნავთობის ტრანსპორტირება მისდამი მტრულად განწყობილი ქვეყნის ტერიტორიაზე.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ატარებს ღია საერთაშორისო ტენდერს სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი მე-10, 98-ე და 124-ე ზოგადსაგანმანათლებლო სამოდელო სკოლებისათვის სხვადასხვა სახის ინვენტარის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

**I.** სამოსწავლო ინვენტარი (მოსწავლის მაგიდა, სკამი და სხვა)

**II.** სკოლის კლას კაბინეტების სხვადასხვა ინვენტარი (კარადები, მასწავლებლის მაგიდები დასხვა).

**III** სპორტინვენტარი (სპორტული დარბაზის აღჭურვილობა);

**IV**. ინვენტარი კვების ბლოკისათვის;

**V.** ექიმის კაბინეტის სპეც.ინვენტარი;

**VI.**სხვადასხვა სპეც.ინვენტარი /სკამები-მბრუნავი, კარადა რკინის-სეიფი, საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანა ელ.ძრავით, საყოფაცხოვრებო ელექტრო ქურა და სხვა./

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 20 სექტემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 22 აგვისტოს 10 საათიდან 24 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქ.N2, ქ.თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ინფორმაციას მომსახურების გაწევისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

გ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (ამონაწერი სამეწარმო რეესტრიდან).

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 26 აგვისტოს 10 საათიდან 29 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქ.N2, ქ.თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება გარანტიის მექანიზმი.

8. უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

9. ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

ალექსანდრე ბიბილეიშვილი - ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილების
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,
სატენდერო კომისის წევრი.
საკონტაქტო ტელეფონი 95.99.04.
მისამართზე: ქ.თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა N2, ქალაქ თბილისის მერიის
განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური.

*სამსახურის უფროსი ნატა მაჩალაძე*
*სამსახურის უფროსის მოადგილე*
*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე*
*დავით გოჩაშვილი*






# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მარტყოფის ქუჩის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია გზის საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, ასფალტო - ბეტონის საფარი (4320 მ2), ბორდიურები (1030 გრძ.მ).

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 25 სექტემბერი.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 22 აგვისტოს 12 საათიდან 23 აგვისტოს 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4**. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

4.2. **ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.2 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ლიცენზიას სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

*5*. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

*6.* სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 24 აგვისტოს 12 საათიდან 25 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

*7.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე -სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39 და ნუგზარ კალაძე-სატენდერო კომისის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

# ალი ყალბი სუვენირებით მოვაჭრეებს დაერია

კრივის მსოფლიო ლეგენდის მუჰამედ ალის ადვოკატის ცნობით, მის კლიენტს არ სურს მისივე სახელით სპეკულირება. საქმე ისაა, რომ რიგი ფირმები ალის სახელთან დაკავშირებული სუვენირების გავრცელებით არიან დაკავებულნი. უფრო სწორად, ის ფირმები ყიდიან ყალბ სუვენირებს. სუვენირებს, რომლებსაც თითქოს რამე კავშირი აქვთ მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონთან. კერძოდ, საუბარია ალის ავტოგრაფით დამშვენებულ ასობით ლითოგრაფიაზე, რომელზეც სწორედ ის მონეტია ასახული, როდესაც ალიმ სონი ლისტონი დაამარცხა და ჩემპიონობა იზეიმა. ასევე სუვენირის სახით ყიდდნენ ეგვიპტის პრეზიდენტის ჯამალ აბდელ-ნასერის მიერ ალისთვის საჩუქრად გადაცემულ ყურანს და ზაირის პრეზიდენტის მობუტუ სესე სეკოს მიერ ნაჩუქარ ტროსტს. ერთი სიტყვით, სუვენირებით მოვაჭრეებთან მოლაპარაკების შემდეგ, მათ უარი თქვეს სუვენირებით ვაჭრობაზე და ასეულობით გაყალბებული ნივთიც გაანადგურეს. ამასობაში ირკვევა, რომ ლეგენდარული მოკრივის კარიერის ამსახველი ფოტო მასალა, ნივთები, ლითოგრაფიები და კიდევ ვინ იცის, რას ნოემბერში მუჰამედ ალის ახალ მუზეუმში და კენტუკის შტატის საგანმანათლებლო ცენტრში გამოფენენ.

# განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" 2005 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის (ლეონიძის ქ. 3/5) სააქტო დარბაზში 12 საათზე ჩატარდება აუქციონი კომპიუტერული ტექნიკის და ავტომანქანების გასხვისებასთან დაკავშირებით:

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] Mb [illegible] Gb | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FB0CV89 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 2 | კომპ. DELL P2 - 350 [illegible] S/N [illegible]B7635296 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 3 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7089 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 4 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBAAQ189 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 5 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBAFH89 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 6 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794B102K69 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 7 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBA6T89 | 11/5/1999 | 128 Mb; 4.3 Gb | 199 |
| 8 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBAQ389 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 9 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBAQ889 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 10 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBAQ689 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 11 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBAQ589 | 11/5/1999 | 128 Mb;4.3 Gb | 199 |
| 12 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N G177345 | 11/5/1999 | 128 Mb;40 Gb | 199 |
| 13 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBA8V89 | 11/5/1999 | 392 Mb;6.4 Gb | 199 |
| 14 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7589 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 15 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი COMPAQ S/N 705BC11UC238 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 16 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი COMPAQ S/N 950BJ11AN8054 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 17 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 84767A8WKL C7 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 18 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBAGV89 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 19 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBA9189 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 20 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი IBM S/N 8867711 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 21 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7489 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 22 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7U89 | 11/5/1999 | 192 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 23 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FAZK889 | 11/5/1999 | 256 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 24 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 84767A8WL1 C7 | 11/5/1999 | 256 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 25 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7189 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 26 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794F BAE189 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 27 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7M89 | 11/5/1999 | 128 Mb;4.3 Gb | 199 |
| 28 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBAQ089 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 29 | კომპ. DELL P2 - 350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7C89 | 11/5/1999 | 128 Mb; 6.4 Gb | 199 |
| 30 | კომპ. DELL P2 - 350 | 11/5/1999 | 128 Mb;4.3 Gb | 199 |
| 31 | პრინტერი hp LJ 5L S/N CNVM108692 | 11/9/1998 | | 91 |
| 32 | პრინტერი hp LJ 6L S/N CN d0458466 | 11/9/1998 | | 109 |
| 33 | პრინტერი hp LJ 6L S/N CN d0400249 | 11/9/1998 | | 109 |
| 34 | პრინტერი hp LJ 6L S/N [illegible]309283 | 10/21/1998 | | 109 |
| 35 | პრინტერი hp LJ 6L S/N CNZM438495 | 10/21/1998 | | 109 |
| 36 | პრინტერი hp LJ 6L S/N CNZM399889 | 10/21/1998 | | 109 |
| 37 | პრინტერი hp LJ 6L S/N JPZT302623 | 10/21/1998 | | 109 |
| 38 | პრინტერი hp LJ 6L S/N JPZP036453 | 4/27/1998 | | 109 |
| 39 | პრინტერი hp LJ 6L S/N JPZB061184 | 4/27/1998 | | 109 |
| 40 | პრინტერი hp LJ 6L S/N CNVN103475 | 11/4/1997 | | 109 |
| 41 | [illegible] პრინტერი DJ 890 S/N SG7BA26082 | 4/27/1998 | | 34 |

| N | ავტომობილის მარკა | სახელმწიფო N | ფერი | ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის მონაცემები | გამოშვების წელი | ექსპლუატაციაში შესვლის წელი | გარბენი კმ. | საბაზრო ღირებულება ლარებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | გაზ - 31029 | VIP -321 | რუხი | ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AE#0041392, ძარის #XTH310290TO40783, ძრავის #40210353549ბM2448, გაცემულია 26.03.2003 წ. სა მთავარი სამმართველოს მიერ. | 1996 წელი | 1998 წელი | 154132 | 3625 |
| 2 | გაზ - 31029 | VIP -656 | რუხი | ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AE#0031387, ძრავის #4021-035355, გაცემულია 04.04.2005 წ. სა მთავარი სამმართველოს მიერ. | 1996 წელი | 1999 წელი | 176497 | 3806 |
| 3 | გაზ - 31029 | VIV -783 | თეთრი | ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AE#00313389 ძარის #XTH310290TO40748, ძრავის #4021032457, გაცემულია 04.04.2002 წ. სა მთავარი სამმართველოს მიერ. | 1996 წელი | 1998 წელი | 215688 | 3806 |
| 4 | გაზ - 31029 | VIP -662 | რუხი | ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AE#0031354, ძარის #0407603 ძრავის #4021-033445, გაცემულია 04.04.2002 წ. სა მთავარი სამმართველოს მიერ. | 1996 წელი | 1999 წელი | 157905 | 3806 |
| 5 | გაზ - 31029 | VIV -644 | რუხი | ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AE#0031355, ძარის #0407235 ძრავის #4021-032787, გაცემულია 04.04.2002 წ. სა მთავარი სამმართველოს მიერ. | 1996 წელი | 1999 წელი | 195390 | 3806 |
| 6 | გაზ - 3110 | AMA-313 | შავი | ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AA#0031209, ძარის #0173875 ძრავის #3232980, გაცემულია 24.04.2002 წ. სა მთავარი სამმართველოს მიერ. | 1999 წელი | 1999 წელი | 203429 | 4713 |

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი "ბე-ს" მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და "ბე"-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გ. ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა "მონაწილის ბილეთი"

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42)

*საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია*

კრივი

# მებრძოლი მამალი როი ჯონს-უმცროსი




ნახევრადმძიმე წონის მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი როი ჯონს უმცროსი, რომელსაც რინგზე დაბრუნების სურვილი გაუჩნდა, უცილობელ მეტოქესთან ანტონიო ტარვერთან მესამე ორთაბრძოლისთვის სამზადისშია, ჟურნალ High Roller Magazine-თან ინტერვიუში საუბრობს, თუ რა მოტივი აქვს მისთვის ტარვერთან მორიგ ჩხუბს და როგორ მოემზადება მისთვის. კერძოდ, რომ განაცხადა ის, რომ ხალხს კვლავაც სურს მისი რინგზე ხილვა და რომ ამისთვის ფულს გადაიხდიან (კაბელური ტელევიზიით ჩხუბის ხილვისთვის).

"ტარვერსა და ჯონსონს ცოტა ხნის წინათ კარგი ორთაბრძოლა ჰქონდათ, მაგრამ ეგაა ეს არავის აღელვებს. არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ასეა. ფაქტია, საბოლოოდ ბილეთების უსასყიდლოდ დარიგება მოუწიათ. ხალხს როი ჯონს-უმცროსის ხილვა უფრო უნდა. საქმე ისაა, თუ ვისი ორთაბრძოლების ხილვისთვის იხდიან ფულს. საქმე ფულშია".

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ისიც აღნიშნა, რომ ტარვერის მიერ მისი დამარცხება შემთხვევით დარტყმას მოჰყვა, ხოლო შემდგომ ორთაბრძოლაში გლენკოფ ჯონსონთან წაგება კი არასრულყოფილი მომზადების შედეგი იყოო.

"როდესაც სერიოზული ჩხუბისთვის გადიხარ რინგზე, თავიდან ზედმეტი საფიქრალი: ოჯახი, მეგობრები და საერთოდ ყველაფერი უნდა ამოიგდო. ყველაფერმა უკანა პლანზე უნდა გადაიწიოს. გლენკოფთან შეხვედრამდე ორი კვირით ადრე ჩვენს ქალაქს (პენსაკოლა, ფლორიდის შტატი) ქარიშხალმა გადაუარა. ელექტროენერგიას გენერატორების მეშვეობით გვაწვდიდნენ და ვარჯიშისა და ბრძოლის გარდა თავში ყველაფერი მიტრიალებდა.

საკუთარი თავი ვიცი. ვიცი, თუ ბრძოლისთვის სრულად განვეწყობი, ნებისმიერს გავუსწორდები. მე მეომარი ვარ, ღმერთის ერთ-ერთი მებრძოლი მამალთაგანი".

საქმე ისაა, რომ როი ჯონს-უმცროსს მებრძოლი მამლების გამოსაყვანი ფერმა აქვს და ამიტომაც საკუთარ თავს მათ ხშირად ადარებს. მეტიც, ამბობენ მამლების ჩხუბიდან ბევრი რამ გადაიღოო – ტექნიკის მხრივ.

მოკლედ

## ბექჰემი სამუდამოდ რეალელი?

Sky Sports-ის ცნობით, მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა დევიდ ბექჰემმა სამეფო კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა 2007 წლამდე. თუმცა შესაძლებელია შეთანხმების მეორე ვარიანტიც, რომლის მიხედვითაც ინგლისის ნაკრების კაპიტანი მადრიდელებთან კარიერის დასრულებამდე დარჩეს! "მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვთამაშობ და აქ დარჩენის სურვილიც მაქვს. ბედნიერი ვარ ესპანეთში და "რეალში" ყოფნით, მაგრამ ეგაა, ერთადერთი, რისი უკმარისობის გრძნობაც მეუფლება ჩემპიონის ტიტულის დაუფლებაა. ჩემთვის მარტო სუპერთასის ქონა არაა საკმარისი".

## პეკინმა ტაივანს ოლიმპიური უარი შეუთვალა

პეკინის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები უარს აცხადებენ თავდაპირველი გეგმის განხორციელებაზე, რაც უმთავრეს ასპარეზობათა ტაივანში გამართვასაც ითვალისწინებდა. მეტიც, თუ აქამდე ოლიმპიური ჩირაღდნის მარშრუტი ჩინეთთან მეამბოხე კუნძულზეც გადიოდა, ახლა შესაბამისი პროექტის განხორციელებაზე პეკინში ეჭვს გამოთქვამენ. "სულ რაღაც სამი წელიწადი გვაქვს იმისთვის, რომ ტაივანელთა გეგმები, საკუთარ კედლებში უმასპინძლონ ამა თუ იმ ასპარეზობას, განხორციელდეს, - ვითარებაში გვარკვევს საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ვინმე ლიუ ჩინმინი. – გარდა ამისა, ოლიმპიური ქარტია ქადაგებს, რომ ყველა ოლიმპიური ასპარეზობა უნდა ჩატარდეს ერთ ქალაქში, თუ, რა თქმა უნდა, ექსტრემალურ ვითარებასთან არ გვაქვს საქმე. მაგალითად, ცხენოსანთა ასპარეზობებს ჰონგ კონგში იმიტომ ვატარებთ, რომ პეკინში არ გვაქვს ასეთი რაოდენობით ცხოველების მოვლა-პატრონობისა თუ შენახვის საშუალება".

აქვე დავძინოთ, რომ ჩინეთი და ტაივანი ერთამენთთან უბრად არიან 55 წელიწადი. ტაივანი რა ხანია, ჩინეთისგან დამოუკიდებლობას ითხოვს. და კიდევ, ტაივანელი ოლიმპიელები პეკინში ჩინეთის ტაივანის ნაკრების სახელით წარდგებიან.

## ჟორჟ ვეა ლიბერიის პრეზიდენტობისთვის იბრძვის

წარსულში ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი ჟორჟ ვეა რა ხანია, ქვეყნის პრეზიდენტობაზე ფიქრობს. მსოფლიო ფეხბურთის ყოფილ ვარსკვლავს ლიბერიის პრეზიდენტობა მტკიცედ განუზრახავს და აკი, როგორც ამას "როიტერი" გვამცნობს, კონკურენტთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ოქტომბრის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. საქმე ისაა, რომ როდესაც პსჟ-ს ღირსებას იცავდა, საფრანგეთის მოქალაქეობა ჰქონდა მიღებული. ლიბერიის კანონმდებლობა კი კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას.

"ყოველთვის ლიბერიელად ვრჩებოდი. მაშინაც კი, როდესაც საფრანგეთის მოქალაქეობა მივიღე. ერთი მითხარით, აბა, ლიბერიის ნაკრების კაპიტანი და ქვეყნის მშვიდობის ელჩი როგორ ვიყავი?"

ამასობაში ვეას წინააღმდეგ მომართული კოალიციური პარტია ლიბერიის საარჩევნო კომისიისგან ყოფილი ფეხბურთელის კანდიდატურის მოხსნას მოითხოვს.

## "არსენალი" და ვენგერი ანრის იტოვებენ

ირკვევა, რომ ლონდონის "არსენალის" მთავარ მწვრთნელს არსენ ვენგერს კლუბის თავდამსხმელ ტიერი ანრისთან კონტრაქტის გაგრძელება უნდა: "მზად ვართ, ანრისთან მოლაპარაკებათა მაგიდას მივუჯდეთ და ახალი პირობები განვიხილოთ. ანრის კლუბთან ორწლიანი მოქმედი კონტრაქტი აქვს. ამავე სიტუაციაში იყვნენ იუნბერგი და სილვა. ამჯერად საკითხის წინასწარ დარეგულირება გვსურს".

## ფიგუ "რეალს" დაემშვიდობა

მადრიდის "რეალის" პორტუგალიელი ლეგიონერი ლუიშ ფიგუ უკვე მილანშია და სამედიცინო შემოწმების შემდეგ "ინტერთან" ორწლიან კონტრაქტზეც მოაწერა ხელი.

დღეს კი "რეალის" გულშემატკივრებთან გამოსამშვიდობებლად პრესკონფერენცია ჰქონდა დაგეგმილი. ერთადერთი რაზეც წუხს, ისაა, რომ გულშემატკივრებთან გამოსამშვიდობებლად იგივეს გაკეთების საშუალება გამოსათხოვარ მატჩში არ ჰქონდა.

## როსი "ფერარის" გახედვნას ეჩვევა

ყველაზე პრესტიჟულ Moto GP-ის (500 კუბ. სანტიმეტრი) კლასში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა იტალიელმა მოტომრბოლმა ვალენტინო როსიმ უჩვეულო ტესტირება ჩაატარა. იტალიელმა მოტომრბოლმა ფიორანოს ტრასაზე მარანელოს საჯინიბოს პირმშოს - "ფერარის" 2004 წლის ბოლიდის - F2004-ის საჭეს მიუჯდა. საგულისხმოა, რომ ყოველივე "იამაჰას" გუნდთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულებისთანავე მოხდა, რომლის მიხედვითაც როსი 2006 წლის სეზონშიც მათ ღირსებას დაიცავს.

სკუდერიის ბოსების ზედამხედველობის ქვეშ ჩია იტალიელმა ნაქები ბოლიდით 80 წრე გაიარა და ერთ-ერთ წრეზე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მიხაელ შუმახერის რეკორდს დაახლოებით სამი წამით ჩამორჩა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვალენტინო როსის სრულად ხელეწიფება იასპარეზოს სამეფო რბოლებში.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც როსის "ფერარის" საჭე ანდეს. იტალიელმა "ფერარი" შარშან აპრილშიც გამოცადა.

## "ჩელსი" კასანოს 6 მილიონით ხიბლავს

ლონდონის "ჩელსი" მზადაა, იტალიურ "რომას" თავდამსხმელ ანტონიო კასანოში 15 მილიონი ევრო გადაიხადოს. მართალია, კასანოს რომაელებთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და "რომაც" მზადაა თავდამსხმელთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე, მაგრამ კასანო, როგორც ამას კლუბის ხელმძღვანელობა ამბობს, "რომაში" დასარჩენად დიდ ფულს ითხოვს – წელიწადში 5,25 მილიონი ევრო. ამასობაში "ჩელსი" კასანოს ხუთწლიან კონტრაქტსა და წელიწადში ექვსმილიონიანი გასამრჯელოს პირობას იძლევა.

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" საფუძველზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იწყებს საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის მსურველთა სერტიფიცირებას, რომელიც ჩატარდება ტესტირების მეთოდით.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოამზადოს და მოგვაწოდოს ტესტები საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით ცესკო-ს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

პროგრამა და დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ცესკო-ს ვებ-გვერდზე www.cec.gov.ge ან მოგვმართოთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 სთ-დან 18 სთ-მდე (შესვენება 13 სთ-დან 14 სთ-მდე) ტ: 98 83 42

საკონტაქტო პირი: ნათია წულაია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე

- *ენერგეტიკულ სექტორში სამშენებლო ნორმატიული დოკუმენტაციის შემუშავება; მომსახურება მათ შორის მოიცავს ენერგეტიკულ სექტორში მოქმედი ნორმატიული ბაზის (ტექნიკური ექსპლოატაციის წესები და სხვა) გადამუშავებას თანამედროვე სტანდარტებზე გადაყვანას და ახალი ნორმატიული ბაზის შექმნას*

